ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 12 ნოემბერი, 2015 №266 (6886) ფასი: 30 თეთრი

ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფები იწყება

სტატისტიკა, ფსონები

12.11	ნორვეგია-უნგრეთი	1.91	3.3	4.33
13.11	ბოსნია-ირლანდია	2.0	3.1	4.2
14.11	უკრაინა-სლოვენია	1.57	3.5	7.0
14.11	შვედეთი-დანია	2.3	3.1	3.3

ზაალ უდუმაშვილმა რუსთავი 2-ის დროებით მმართველობაზე უარი თქვა

გვ.2

დვალის და საყევარიშვილის შეთავაზება ჰაერში გამოეკიდა

პატრიოტთა ალიანსი შიმშილობას პარლამენტთანაც აპირებს

გვ.3

ირმა ინაშვილი: „სამართლებრივი გზა გავიარეთ, გვრჩება უკიდურესი მშვიდობიანი პროტესტი“

ემზარ კვიციანი: „ცილისწამებას დასასრული აღარ უჩანს“

კარლო კოპალიანი: „მარგველაშვილმა ავლაბრის რეზიდენცია უნდა დატოვოს“

გვ.5

გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „არჩევნებამდე მთავრობაში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის“

ISSN 1987-9385

საკონსტიტუციომ პარლამენტის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა

გუშინ, 11 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

მოსამართლეთა კოლეგიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება, დააკმაყოფილებდნენ თუ არა პარლამენტის შუამდგომლობას 4 მოსამართლიდან 2-ის აცილების შესახებ.

საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს რუსთავი 2-ის საქმიდან მოსამართლეების აცილების შუამდგომლობით მიმართა.

პარლამენტში მიაჩნიათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის თავმჯდომარე კონსტანტინე ვარძელაშვილი და ამავე კოლეგიის წევრი მაია კოპალეიშვილი არაობიექტურად მოქმედებენ.

ანტიკორუფციულმა საგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელი დააკავა

გვ.7

ზაალ უდუმაშვილმა რუსთავი 2-ის დროებით მმართველობაზე უარი თქვა

გუშინ, 11 ნოემბერს, რუსთავი 2-ის ირგვლივ რამდენიმე საინტერესო რამ მოხდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულმა რუსთავი 2-ის დროებითმა მმართველებმა – რეზო საყევარიშვილმა და დავით დვალმა საკუთარი უფლებამოსილება არხის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილე ზაალ უდუმაშვილს მიანიჭეს.

ეს განცხადება მათ პრესკონფერენციაზე გააკეთეს.

– მე ორი დღის წინ შევხვდი რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის მოადგილე ზაალ უდუმაშვილს, ვისაუბრეთ ამ თემაზე, ავუხსენი ჩვენი პოზიცია, რომ თუ ორივე მხარე მართლა ვართ დაინტერესებული, დაძაბულობა არ მოხდეს და მშვიდ ტემპში გაგრძელდეს ყველაფერი, მე მზად ვარ, მას გადავულოცო ჩემი უფლებამოსილება, – განაცხადა დავით დვალმა.

მან აღნიშნა, რომ 11 ნოემბერს ეს გადაწყვეტილება ცალმხრივად განახორციელეს მან და რეზო საყევარიშვილმა.

– ჩვენი უფლებამოსილება მივანიჭეთ ზაალ უდუმაშვილს. მას ეს უფლება უკვე მინიჭებული აქვს, რაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია, ანუ ზაალ უდუმაშვილს სრულფასოვნად შეუძლია, განახორციელოს დროებითი მმართველის ფუნქცია, – აღნიშნა დავით დვალმა.

დვალი სასამართლოს განჩინებასაც შეეხო და ასეთი რამ თქვა:

– სასამართლოს განჩინებასთან დაკავშირებით, ძალიან უცნაურია, მაგრამ ჩვენ და რუსთავი 2 ერთსა იმავე პოზიციაზე ვართ.

მან განმარტა, რომ განჩინებაში დაფიქსირებული ზოგიერთი პუნქტი მათთვისაც საკამათოა.

– დროებითი მმართველის შემოღების სიჩქარე განპირობებული იყო შემდეგით: გვაქვს მრავალი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ რუსთავი 2-ში ალტერნატიული გეგმები ისახება, ლაპარაკია ახალი ტელევიზიის შექმნაზე, ლაპარაკია აპარატურის დაზიანებაზე ა.შ. მოტივაცია იყო ის, რომ ზიანი არ მისდგომოდა თავად ორგანიზაციას და პრობლემა არ შექმნოდა მის ფუნქციონირებას. ამის გამო დავთანხმდით, რომ დროებით მმართველობაში აგვეღო ტელევიზია, – განაცხადა დავით დვალმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ ზაალ უდუმაშვილი მათ შეთავაზებას მიიღებს.

– არასდროს არაფერი არ მოხდება ძალით, აღმასრულებლებით და ა.შ. ზუსტად იმის გამო, რომ ჩვენ გვინდა ამის თავიდან აცილება, მივედით ამ გადაწყვეტილებამდე. მინდა ხაზგასმით ვთქვა, არანაირი პრობლემა დღეიდან რუსთავი 2-ს არ ექნება. მოხსნილია ეს საკითხი ჩვენი მხრიდან. მინდა მოვუწოდო მეორე მხარეს, რომ გაგებით მოეკიდოს ამას. ზაალ უდუმაშვილს დღეიდან აქვს უფლება, აფუნქციონიროს რუსთავი 2, – აღნიშნა დავით დვალმა.

◆ ◆ ◆

ამ განცხადებიდან სულ მალე რუსთავი 2-ის ოფისში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა, რომელზედაც ზაალ უდუმაშვილმა ტელეკომპანიის დროებით მმართველობაზე უარი თქვა.

– ერთი საათის წინ ჩვენ სრული აბსურდი მოვისმინეთ იმ ე.წ. დროებითი მმართველებისგან, რომლებიც თამაზ ურთმელიძემ დაუნიშნა რუსთავი 2-ს,– განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

მან დაადასტურა დავით დვალთან შეხვედრა.

– მისი ბოლო წინადადება ასეთი იყო – ხომ

საყევარიშვილის და დვალის შეთავაზება ჰაერში გამოეკიდა

არ დავთანხმდებოდი დროებით მმართველობას, რათა კომპანია გადაგვერჩინა, რაზეც ჩემგან თანხმობა დავით დვალს არ მიუღია, – აღნიშნა ზაალ უდუმაშვილმა.

ის დაინტერესდა, როგორ გატარდა საჯარო რეესტრში იმ ვალდებულებების დოკუმენტი, რომელზეც მისი ხელმოწერა არ არის.

– მე გავიარე იურისტებთან კონსულტაცია და ვიცი, რომ ჩემი თანხმობისა და ხელმოწერის გარეშე ამ დოკუმენტის გატარება არ შეიძლებოდა. შესაბამისად, ეს დოკუმენტი არის უკანონო.

მე ვარ რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე და მაქვს კონკრეტული ფუნქციები. ვხელმძღვანელობ არხის საინფორმაციო პოლიტიკას. მე არ ვარ გამოცდილებით ფინანსისტი და ვერც ავიღებ ამ ვალდებულებას ჩემს თავზე ვერასოდეს, ვინაიდან ამას შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება სჭირდება, – განაცხადა უდუმაშვილმა.

მან დროებით მმართველებს მოუწოდა, ტელეკომპანია დისტანციურად მართონ, თუკი ოფისში შესვლა არ უნდათ.

შემდეგ სიტყვით ნიკა გვარამია გამოვიდა.

– ჩვენ მოვისმინეთ შეშინებული კაცუნების ბრიფინგი, ეს ადამიანები სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს, – განაცხადა მან.

მისი თქმით, ყველაზე შერცხვენილი მაინც სასამართლო ხელისუფლებაა.

გვარამია მოსამართლეებს მოუწოდებს, თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებებს პროტესტი გამოუცხადონ.

– მეგობრებო სასამართლო ხელისუფლებიდან, ხომ ხედავთ, რა დღეში ჩაგაგდოთ მოსამართლედ წოდებულმა ურთმელიძემ. ყველა, მათ შორის ისინიც, ვის სასარგებლოდაც თქვენ გამოგაქვთ გადაწყვეტილებები, თავს ვალდებულად მიიჩნევენ, აკრიტიკონ ის და თქვან, რომ უკანონო გადაწყვეტილებებს იღებს.

ნუ იმცირებთ თავს, ძალიან ძვირი ღირს თქვენი რეპუტაცია და ძალიან ძვირი იქნება ამ რეპუტაციის აღდგენა. გაემიჯნეთ მოსამართლე ურთმელიძეს. ამას ნამდვილად აკეთებთ თქვენი დუმილით, მაგრამ ეს უნდა გააკეთოთ ხმამაღლა, – მიმართა სასამართლოს ნიკა გვარამიამ.

მან ისაუბრა რეზო საყევარიშვილის და დავით დვალის მიერ დროებითი მმართველის ფუნქციის ზაალ უდუმაშვილისთვის დაკისრებაზე.

– სრული აბსურდია ორი არალეგიტიმური ცენზორის დღევანდელი განცხადება, მათ ეშინიათ, ცხადია, მაგრამ შიში ვერ იხსნის ამ სიტუაციას. მათ თავის თავზე საკუთარი ნებით აიღეს ძალიან ძმიმე პასუხისმგებლობა. ვერ გადააკისრებთ თქვენს მოვალეობებს სხვა ადამიანს.

იმავე განჩინებით, რომლითაც თქვენ დაინიშნეთ, აღნიშნულია, რომ მთელი თქვენი ქონებით აგებთ პასუხს ყველაფერზე, რაც რუსთავი 2-ში ხდება.

ადამიანის მონაწილეობის გარეშე ისეთი პასუხისმგებლობა დააკისრეთ მას, რომლის შესრულებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს. ვერ დაამტკიცებთ იმას, რომ აქ ვერ შემოხვედით და იმიტომ ვერ ასრულებთ თქვენს მოვალეობებს.

თქვენ გაქვთ აბსოლუტური წვდომა ჩვენი ანგარიშების მიმართ და ჩვენი საგადასახადო ბარათების მიმართ. სრულიად უკანონოდ, საგადასახადო სამსახურმა ჩვენს ბუღალტერიას ეს წვდომა შეუზღუდა – გაუუქმა საერთოდ. მხოლოდ თქვენ გაქვთ ეს წვდომა.

კეთილი ინებეთ და შეასრულეთ საგადასახადო ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიეცემით სისხლის სამართლის პასუხისგებაში, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან საჯარო რეესტრიც მკაცრად გააკრიტიკა და მის მიმართ გამოძიების დაწყება მოითხოვა.

◆ ◆ ◆

გუშინ განცხადება საჯარო რეესტრმაც გააკეთა.

მისი ინფორმაციით, ზაალ უდუმაშვილისთვის მმართველის უფლების მინიჭების თაობაზე მათთან განცხადება საერთოდ არ შესულა.

– მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება საწარმოს დირექტორი და არა მისი მინდობილი პირები.

ზაალ უდუმაშვილს, დავით დვალს და რევაზ საყევარიშვილს ერთობლივი განცხადებითაც რომ მოემართათ საჯარო რეესტრისთვის, ეს მინდობილობა მაინც ვერ და არ დარეგისტრირდებოდა. ვინაიდან დირექტორის (მოცემულ შემთხვევაში დროებითი მმართველის) მინდობილი პირის/წარმომადგენლის რეგისტრაციის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, – ნათქვამია განცხადებაში.

შესაბამისად, საჯარო რეესტრი თვლის, რომ ნიკა გვარამიასა და ასევე დროებით მმართველების, დავით დვალისა და რევაზ საყევარიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები საჯარო რეესტრის მიმართ უპასუხისმგებლოა.

– საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, პატივი სცენ მისი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობას და თავი შეიკავონ უსაფუძვლო განცხადებების ანდა ფაქტობრივად არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან, – ნათქვამია საჯარო რეესტრის განცხადებაში.

მოგვიანებით ნიკა გვარამიამ საჯარო რეესტრს ბოდიში მოუხადა.

– მე მინდა განვმარტო ჩემი პოზიცია რეესტრთან დაკავშირებით, ბოდიში მოვიხადო და უკან წავიღო ჩემი სიტყვები იმდენად, რამდენადაც ჩვენ დროის სიმცირის გამო ვერ მოვახერხეთ გადამოწმება, რეგისტრირებული იყო თუ არა ეს ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში, საიტზე ეს არ ჩანს და იმედს ვიტოვებ, რომ არ ჩანს იმიტომ, რომ არ არის რეგისტრირებული. ჩვენ დავეყრდენით ჩვენს განცხადებაში დვალის და საყევარიშვილის განცხადებას, რომ ეს რეესტრში რეგისტრირებული დოკუმენტია. ჯერჯერობით ეს ასე ნამდვილად არ არის და იმედია, რომ არც მოხდება. საჯაროდ ზალიკომაც განაცხადა, რომ მისი თანხმობის გარეშე მოხდა და ამიტომ მოვუწოდებ რეესტრს, ამის რეგისტრაცია არ მოახდინოს.

კიდევ ერთხელ უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები რეესტრის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ეს ნამდვილად ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული, – განაცხადა გვარამიამ რუსთავი 2-თან საუბარში.

დავით ბეჟუაშვილი ბინებს კიევსა და მოსკოვში ფლობს

საქართველოს პარლამენტის წევრი დავით ბეჟუაშვილი ბინებს კიევსა და მოსკოვში ფლობს. კერძოდ, პარლამენტარის საკუთრებაში კიევში მდებარე 70 კვ.მ ფართობისა და მოსკოვში მდებარე 180 კვ.მ ფართობის მქონე ბინები ირიცხება.

წლებია, რაც აღნიშნული ობიექტები პარლამენტარის საკუთრებაა. მაგალითად, ბეჟუაშვილის მიერ 2006 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, კიევში მდებარე ბინის საბაზრო ღირებულება, იმ დროისთვის, 50.000 ლარი, ხოლო მოსკოვში მდებარე ბინის – 360.000 ლარი იყო.

ინფორმაციისთვის, პარლამენტარის საკუთრებაში კიდევ ერთი უძრავი ქონების ობიექტი – მანგლისში მდებარე 792 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი – ირიცხება. უძრავ ქონებას ფლობს მისი მეუღლე თეა ჭეიშვილიც. მის მფლობელობაშია საგურამოში მდებარე 1.000 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის არჩევნებზე დავით ბეჟუაშვილის კანდიდატურა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის პოსტზე წარადგინა. არჩევნებიდან დღემდე, ბეჟუაშვილი აღნიშნული მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრია.

ნსპ.გე

კობა სუბელიანის წლიურმა ანაზღაურებამ 60.285 ლარი შეადგინა

საქართველოს პარლამენტის წევრის კობა სუბელიანის სახელფასო ანაზღაურებამ 60. 285 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა პარლამენტარმა, 2014 წლის 1-ელი იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შრომის ანაზღაურების სახით მიიღო.

ეს ინფორმაცია სუბელიანის ქონებრივ დეკლარაციაშია მოცემული.

ამავე დოკუმენტის თანახმად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პარლამენტარი თბილისში მდებარე 2 ბინის მფლობელია.

შეგახსენებთ, რომ კობა სუბელიანი 2012 წლიდან პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით შესული დეპუტატია.

ნსპ.გე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პატრიოტთა ალიანსი შიმშილობას პარლამენტთანაც აპირებს

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ მთავრობის ადმინისტრაციასთან შიმშილობის აქცია დაიწყეს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერებმა. პროტესტის ამ უკიდურესი ფორმის მთავარი მიზეზი გახდა 31 ოქტომბერს ჩატარებული შუალედური არჩევნების გაყალბება. ამასთან, აქციის მონაწილეები აყენებენ გაყალბებაში მონაწილე ჩინოსნების, მათ შორის, ორი მინისტრის გადაყენებისა და საარჩევნო გარემოს შეცვლის საკითხებს.

„ახალი თაობა“ გუშინ, 11 ნოემბერს, მოშიმშილეებს ეწვია. მათი რაოდენობა იზრდება. ამჟამად კანცელარიასთან 25-ზე მეტი მოშიმშილეა. ზოგი მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულია. მოშიმშილეები საბნებით მოამარაგეს, თუმცა, ღამით და დილის საათებში ქუჩაში საბნებით ვერ გათბები.

შიმშილობა დაიწყო რეგიონებშიც. პარტიის წევრები აცხადებენ, რომ სხვა ქალაქებში შიმშილობის აქციების ორგანიზატორი არ არის პატრიოტთა ალიანსი -ადგილობრივი ინიციატორები სოლიდარობის აქციებს თვითონ იწყებენ. აქციის მონაწილეებს მუდმივად აკითხავენ მოქალაქეები და მხარდაჭერას უცხადებენ. ისინი სხვადასხვა დროს მოინახულეს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმაც.

პარტიის გენერალურ მდივან ირმა ინაშვილს საუბარი უჭირს, მაგრამ მაინც მოახერხა ჩვენთვის რამდენიმე სიტყვის თქმა.

– ჩვენ მოგვიწოდებენ, რომ სამართლებრივი გზა მოვძებნოთ. სინამდვილეში, ეს უკვე გავაკეთეთ - საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიით დაწყებული, სააპელაციო სასამართლოთი დამთავრებული, საქმე ყველგან გავასაჩივრეთ. მოთხოვნები არ დაგვიკმაყოფილეს. ერთადერთი, ის გვითხრეს, რომ 31 ოქტომბერს, არჩევნების დროს, ტექნიკური შეცდომები მოსვლიათ. ამისთვის კომისიების წევრებს საყვედურები გამოეცხადათ, – გვითხრა ირმა ინაშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ არჩევნები გაუყალბეს.

– 50 უბნიდან 25-ში სერიოზული დარღვევებია და თურმე ეს ტექნიკური შეცდომები ყოფილა. ყველაზე თვალსაჩინო უხეში ფალსიფიკაცია მუხროვანის სპეცუბანზე მოხდა. იქ თამარ ხიდაშელის სასარგებლოდ სამხედროების ხმები გამოიყენეს. მათგან უმრავლესობა საგარეჯოელი არ არის. სამხედროების სპეციალური სია არჩევნების წინ გაბერეს. ანუ, საგარეჯოს მაჟორიტარი აარჩევინეს საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ სამხედრო პირებს. სამართლებრივი გზა გავლილი გვაქვს. გვრჩება უკიდურესი მშვიდობიანი პროტესტი.

მოშიმშილე ემზარ კვიციანმა რამდენიმე მეუფეს მიმართა თხოვნით, ანათემას გადასცენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებში მსახურობენ.

– ბატონო ემზარ, რატომ დაგჭირდათ ასეთი მიმართვა?

– იმიტომ, რომ ცილისწამებას დასასრული აღარ უჩანს. პირადად მეც მაბრალებენ მოღალატეობას. ეს ახლა არ დაწყებულა. ბოლო 10 წელია, ისმის გაუთავებელი ბრალდებები. 2005 წელს ცილისწამების მუხლი ამოიღეს და მას შემდეგ ნაციონალური მოძრაობა კარგად იყენებდა ცილისწამებას იმათ წინააღმდეგ, ვინც არ მოსწონდა. ამის გამო ზოგ ადამიანს გული გაუსკდა. მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ბადრი პატარკაციშვილსაც ამის გამო უღალატა გულმა.

– ახლა ეს თემა რატომ ახსენეთ?

– ნაციონალები დიდი ხნის წინ გავშიფრე და განვაცხადე, რომ რუსეთის აგენტები თვითონ არიან. ახლა ეს თემა იმიტომ ვახსენე, რომ ნაციონალებთან დაახლოებული პოლიტიკოსები გააქტიურდნენ და სხვა ქვეყნების სამსახურს აბრალებენ პატიოსან და ქვეყნისათვის მებრძოლ ადამიანებს. იძულებული გავხდი, ეს მეთქვა, იმიტომ, რომ ჩვენზე ათასნაირი ჭორების გავრცელება დაიწყეს.

– თინა ხიდაშელს რას ერჩით?

– ჩვენი, მოშიმშილეების ერთ-ერთი მოთხოვნა თავდაცვის მინისტრის გადაყენებაა. თინა ხიდაშელი ხელმძღვანელობდა არჩევნების გაყალბებას საგარეჯოში. ამის პასუხად ხიდაშელმა თქვა, რომ მისი რუსეთს ეშინია და რომ მას რუსეთი ებრძვის. ჯერ ერთი, ჩვენი მოთხოვნები რა კავშირშია რუსეთთან? მეორეც, რითი აშინებს ხიდაშელი რუსეთს? საოკუპაციო ზოლის გადმოწევას აჩერებს? ქალბატონო თინა! როგორი დემოკრატიული არჩევნებიც ჩაატარეთ საგარეჯოში, ისეთივე თავდაცვის მინისტრი ხართ და ისევე ეშინია თქვენი რუსეთს.

მოშიმშილე ადა მარშანია ამბობს, რომ მათი მთავარი მიზანია, ბოლოს და ბოლოს, შეიქმნას ქვეყანაში ნორმალური საარჩევნო გარემო, შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როცა ამომრჩეველი აირჩევს სასურველ პარტიებსა თუ პიროვნებებს.

– 25 წელიწადია, მძიმე დღეში ვართ. „ქართული ოცნება“ დემოკრატიას და სამართლიანობას გვპირდებოდა. 31 ოქტომბერს დადასტურდა, რომ ეს ხელისუფლება ამ დაპირებასაც არ ასრულებს. ამ დღეს „ქართული ოცნება“ გაშიშვლდა. პირადად მე ხელისუფლების ნდობა მაშინ დავკარგე, როცა საყდრისის უნიკალური ძეგლი დაანგრიეს, – აცხადებს ადა მარშანია.

– ხომ არ ნანობთ, რომ შუალედურ არჩევნებში მიიღეთ მონაწილეობა?

– არა. ძალიან კარგია, რომ სხვების მსგავსად არ გამოვუცხადეთ ბოიკოტი ამ არჩევნებს. ეს საჭირო იყო. ახლა ჩვენ ქვეყნისთვის აუცილებელ მოთხოვნებს ვაყენებთ. ესაა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. პარტიებისათვის უნდა შეიქმნას თანაბარი პირობები, თანამდებობის პირებს უნდა აეკრძალოთ რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერა. უნდა გაუქმდეს სპეცუბნები.

– რა დარღვევები იყო, თქვენი აზრით, საგარეჯოში?

– იურისტი ვარ, მაგრამ საკითხს მარტო სამართლებრივად არ ვუყურებ. გარემოს დაცვის მინისტრმა აგულაშვილმა შვებულება აიღო და ისე ჩაერთო საარჩევნო პროცესებში. სამართლებრივად ის სწორად მოიქცა, მაგრამ მისი საქციელი მაინც უზნეოა.

ამორალურია და უკანონოა თავდაცვის მინისტრ ხიდაშელის მოქმედებები. მან საგარეჯოში მთელი სამხედრო ნაწილი გადმოისროლა და ეს ხმები გაყალბდა. გარდა ამისა, ის ხმებს თვითონ ითვლიდა. ასეთი უტიფრობა და ქაჯობა ხიდაშელმა მაშინაც გამოიჩინა, როცა მინისტრობის კანდიდატად დაასახელეს. პარლამენტს მისი კანდიდატურა განხილული და დამტკიცებული არ ჰქონდა, მაგრამ ის უკვე მინისტრის კაბინეტში შევიდა. არჩევნების გამყალბებელი ხიდაშელი ჩვენ გვაყენებს შეურაცხყოფას და კრემლის აგენტებს გვიწოდებს.

◆ ◆ ◆

შიმშილობის აქცია შეიძლება გაფართოვდეს.

გიორგი ლომიას თქმით, ისინი პარლამენტთან აპირებენ შიმშილობის აქციის დაწყებას და არც კანცელარიასთან დაშლიან მოშიმშილეებს.

– მოთხოვნები მთავრობასთან გვაქვს და პარლამენტთანაც. მერიიდან ნებართვას ველით. პარლამენტთან შეიძლება 200-კაციანი აქციაც იყოს და 500-კაციანიც. უამრავი მოხალისე და მხარდამჭერი გვაკითხავს პარტიის ოფისში. მათი უმრავლესობა ჩვენი პარტიის წევრი არ არის. ასე რომ, ხალხის ხმას დიდი ძალა აქვს, – ამბობს გიორგი ლომია.

მისი თქმით, საგარეჯოში ირმა ინაშვილმა მიიღო ხალხის მხარდაჭერა:

– ჩვენ შევძელით გაგვებათილებინა მითი იმის შესახებ, რომ არჩევნებს ამ რაიონში იგებს ის, ვისაც ხმას აძლევს იორმუღანლო. მმართველი კოალიციის კანდიდატმა იორმუღანლოში ხმები აიღო, მაგრამ წააგო ქართული სოფლები. ამიტომ ბოლოს დასჭირდათ ხმების გაყალბება სამხედროების სპეცუბანზე. იქ სპეცსია 25-დან 621-მდე გაზარდეს. ასე გაიყვანეს თამარ ხიდაშელი. რეალური გამარჯვებული ირმა ინაშვილია.

– თქვენი ერთ-ერთი მოთხოვნა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაა.

– დიახ. საამისოდ ამ ეტაპზე კონსტიტუციაში ცვლილებების გარდა, არსებობს სხვა გზებიც. მაგალითად, რიგგარეშე არჩევნები. ამ არჩევნებით შესაძლებელია ახალი პარლამენტის მიღება, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებს გაატარებს. არსებობს კიდევ ერთი მეთოდი – რეფერენდუმი. ამ დროს ხალხი წყვეტს, უნდა თუ არა მაჟორიტარული სისტემა.

– საარჩევნო საკითხებში მთელი ოპოზიცია ერთიანია.

– პარტიებმა შუალედური არჩევნების შედეგების შეფასებისასაც ჩვენი პოზიცია დაიჭირეს. საუბედუროდ, ხელისუფლებას სხვა გათვლები აქვს. „ქართულ ოცნებას“ უნდა, როგორმე მიაღწიოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე. არსებობს გეგმა, რომლის თანახმად, მომავალ პარლამენტში უნდა შევიდნენ „ქართული ოცნება“, რესპუბლიკური პარტია, ნაციონალური მოძრაობა და თავისუფალი დემოკრატები. ალბათ, ისევ მასშტაბური ფალსიფიცირების იმედი აქვთ.

მათ ავიწყდებათ, რომ მთავარი ძალა ხალხია. ამ სიტუაციაში ფულიც უკანა პლანზე გადადის. 2012 წელს სააკაშვილს 19 მილიარდი ჰქონდა. არჩევნებისათვის მაშინ ნაციონალებმა ძალიან ბევრი დახარჯეს, მაგრამ წააგეს. ახლა საგანგებო სიტუაციაა, რომელსაც უნდა მოჰყვეს ცვლილებები. ჩვენ უკან არ დავიხევთ და არჩევნების გაყალბებას არ დავუშვებთ.

ანდრო ბარნოვმა ნაციონალური მოძრაობა დატოვა

ნაციონალური მოძრაობიდან ხალხის გადინება გრძელდება. გოგა ხაჩიძეს და „გირჩებს“ გუშინ, 11 ნოემბერს ერთ დროს მგზნებარე ნაციონალი ანდრო ბარნოვი მიეწია.

პარტიასთან გამოსათხოვარი წერილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– ნაციონალურ მოძრაობაში 2013 წლის 12 იანვარს მივედი – როდესაც ნაციონალური მოძრაობა, იმ დროს ერთადერთი პროდასავლური პარტია, არჩევნებში დამარცხებული, რუსული პროპაგანდის განწირული მსხვერპლი იყო; როდესაც საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მასში კეთროვანს ხედავდა, ახალი ხელისუფლება კი განადგურებით ემუქრებოდა. მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემი პოლიტიკური კარიერის ყველაზე სწორი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, – წერს გამოსათხოვარ წერილში ბარნოვი.

მისი თქმით, მთელი მისი დრო და ენერგია მიმართული იყო იქით, რომ გაძლიერებულიყო სამოქალაქო საზოგადოება.

– ვცდილობდი გაძლიერებულიყო სახელმწიფო, საქართველოში გაძლიერებულიყო დასავლური კულტურა და ამოძირკვულიყო რუსეთის დამღუპველი გავლენა ჩვენს საზოგადოებაზე. მიმაჩნია, რომ ამ მიზნების მისაღწევად მართლაც მოვახერხე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, თუმცა ისიც ცხადია, რომ წინ კვლავაც დიდი გზა გვიდევს, – აღნიშნავს აწ უკვე ყოფილი ნაციონალი.

მისი განმარტებით, დღეს სიტუაცია პარტიულ დაპირისპირებებში ჩაიკეტა.

– არადა, ბრძოლის ველი გაცილებით ვრცელია. საქართველოს მომავლის თვალსაზრისით, მხარე ვერ იქნება რომელიმე პოლიტიკური პარტია. აქ მხარეა ჩვენი საზოგადოება, ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც სწამს მომავლის და ხელში არ შეჰყურებს რომელიმე ბატონს. სხვადასხვა რთული თუ მარტივი მიზეზის გამო, ამ ხედვის დამკვიდრებას პოლიტიკური პარტიები ვერ უზრუნველყოფენ. საჭიროა საზოგადოებასთან პირისპირ მუშაობა, საჭიროა პირუთვნელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა – ყოველგვარი პარტიული ინტერესისა და პარტიული მიზნების გარეშე, – გვაუწყებს ბარნოვი.

ის ამჯერად სამოქალაქო სექტორს უმიზნებს და გვპირდება, რომ დეტალებს მოგვიანებით გვაცნობებს.

– მე ვტოვებ პარტიას და მის პოლიტიკურ საბჭოს, ვაფუძნებ ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას და სწორედ ამ რანგში გავაგრძელებ მოღვაწეობას. დეტალებს მალე მოვახსენებ საზოგადოებას, – წერს სამოქალაქო სექტორში მიმავალი.

სანამ ამ წერილს დაწერდა, ბარნოვი სააკაშვილის მიერ დაფუძნებულ საპრეზიდენტო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

რამაზ საყვარელიძე: „არჩევნებამდე მთავრობაში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ მმართველი ძალა საპარლამენტო სიას მკვეთრად გადაახალისებს და მომავალი პარლამენტი არასამთავრობო სექტორიდან წასული ადამიანებით დაკომპლექტდება.

– ბატონო რამაზ, კვლავ აქტუალურია ყოფილი პრემიერისა და პრეზიდენტის ურთიერთობის საკითხი. ბიძინა ივანიშვილი ისევ აცხადებს, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ავლაბრის რეზიდენცია უნდა დატოვოს. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– ძალიან რთული სათქმელია. ყოფილი პრემიერისთვის ეს თემა რომ ისევ აქტუალურია, ეს ცხადია. ის პიროვნული გაღიზიანება გადავლილი არ არის. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– პრეზიდენტი ვადის ამოწურვის შემდეგ სახლში არ აპირებს წასვლას. ეს დაპირისპირება და დატოვებს თუ არა რეზიდენციას მარგველაშვილი, გავლენას იქონიებს მის შემდგომ პოლიტიკურ კარიერაზე?

– დიდი პოლიტიკიდან სახლში არ მიდიან. ყოველ შემთხვევაში, თავისი ნებით არავინ მიდის. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უკვე გვითხრა, რომ აპირებს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკაში დარჩენას.

– რა ფორმით?

– ეს არის სწორედ მნიშვნელოვანი კითხვა. თუმცა ეს კითხვა ჯერ-ჯერობით ღიაა და ამაზე პასუხი გაიცემა ალბათ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

– ვის შეიძლება დაეყრდნოს?

– ალბათ უფრო მეტად არასამთავრობო სექტორს. დღეს ის ანგარიშს სწორედ არასამთავრობო სექტორს და დასავლელი პარტნიორების პოზიციებს უწევს. სავარაუდოა, რომ მარგველაშვილი ახალ პოლიტიკურ ჯგუფს ჩამოაყალიბებს. ეს სწორედ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხდება, მანამდე ის იკრებს იმ ადამიანებს გვერდით, ვისაც ენდობა. ამ ფონზე ეჭვებიც გამოითქვა, რომ თითქოს შეიძლებოდა ნაციონალური მოძრაობა ყოფილიყო პრეზიდენტ მარგველაშვილის დასაყრდენი, მაგრამ ეს ვარაუდი პრეზიდენტის რამდენიმე მკაცრმა განცხადებამ უარყო.

– ალასანიას გუნდი შეიძლება გახდეს მარგველაშვილის დასაყრდენი?

– არაფერი არ არის გამორიცხული, მაგრამ ეს უნდა დაანახოს მას მომავალმა.

– კონკრეტულად?

– მომავალმა საპარლამენტო არჩევნებმა. თუ ალასანიას გუნდს მომავალ არჩევნებში ძლიერი პოზიციები არ ექნა, მაშინ მარგველაშვილი არ წავა ალასანიასთან. საერთოდ, პოლიტიკაში ძლიერები უყვართ.

– არსებობს ინფორმაცია, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის სახე პოლიტიკაში გადადის.

– ეს ყოველთვის ასე ხდებოდა და დღესაც ხდება. მაგალითის მოყვანაც შემიძლია. გიგა ბოკერია ტიპიური არასამთავრობო ფიგურა იყო, მაგრამ დღეს ის გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერია და ამ მაგალითების დასახელება უსასრულოდ შეიძლება. პოლიტიკას სწორედ არასამთავრობო სექტორი კვებავს.

– ეს კითხვა საინტერესოა იქიდან გამომდინარე, რომ 2016 წლის არჩევნებზე ახალი სახეების მოლოდინია. ფიქრობთ, რომ სწორედ არასამთავრობო სექტორიდან იქნებიან ეს სახეები?

– ალბათ. 2016 წლის არჩევნები წარმატებული რომ იყოს, ამისთვის აუცილებელია ახალი სახეები.

– ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი კმაყოფილი რომ არ არის არსებული პოლიტიკური ძალით, ეს აშკარაა?

– დიახ. ამ მიმართულებით ალბათ სიახლეები იქნება.

– ივანიშვილი თანაგუნდელებს უწუნებს იმას, რომ ისინი უცხოეთში სათანადოდ ვერ წარმოაჩენენ ქვეყანას, უწუნებს, მაგალითად, ინგლისურის არცოდნას.

– ეს უდავოა, უდავოა, რომ მას უკეთესი სახეები სურს იხილოს პარლამენტში. უცხოეთთან ურთიერთობას გამოცდილება სჭირდება, ეს გამოცდილება არასამთავრობო სექტორს აშკარად უკეთესი აქვს. ამ თვალსაზრისით მათ მეტი გამოცდილება აქვთ.

– მმართველი გუნდის საპარლამენტო შემადგენლობა მკვეთრად გადახალისდება თუ გარკვეული სახეები შეინარჩუნებენ პოზიციებს?

– ამაზე იმდენჯერ ითქვა, რომ შეუძლებელია, რეალური, მკვეთრი გადახალისება არ მოხდეს. მენეჯერი გუნდის შეცვლაზე საუბრობს მაშინ, როდესაც მას არ აქვს ის შედეგი, რომელსაც ელოდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქართული ოცნება“ თავისი რეიტინგით კმაყოფილი არ უნდა იყოს. შეიძლება ენდიაის კვლევებს უნდობლობა გამოუცხადო, მაგრამ ალბათ ატარებენ შიდა კვლევებს, რეიტინგი რომ ქვევით მიდის, ეს სადავო არ უნდა იყოს.

– საპარლამენტო არჩევნებამდე სამთავრობო ცვლილებები არის მოსალოდნელი?

– არჩევნებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. წინასაარჩევნო რეჟიმი ფაქტობრივად უკვე ამოქმედებულია. ამდენად არა მგონია, რომ ახლა „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი ცვლილება განახორციელოს, თუმცა, არაფერი გამორიცხული არ არის. ამ ცოტა დროში თუ მოხდა სამთავრობო ცვლილებები, ეს მოსახლეობის მიერ აღქმული იქნება არა დადებითად, არამედ ნეგატიურად. უფრო პასუხისმგებლობისგან გაქცევად იქნება აღქმული, ვიდრე სტრატეგიად. გამორიცხული არაფერია, ცვლილებები მოხდება თუ ოდიოზური ფაქტი მოხდება მთავრობაში.

ვახტანგ მაისაია: „დასავლეთს რუსეთის სამხედრო მზადება გამოეპარა“

გულიკო ბალაძე

ცოტა ხნის წინ ამერიკა და რუსეთი სირიასთან დაკავშირებით თანამშრომლობაზე თითქოს შეთანხმდნენ. თუმცა, ახლა ამერიკელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ რუსეთის ქმედებების წინააღმდეგ თავდაცვის ახალ გეგმას შეიმუშავებენ, რადგან რუსეთი არ თმობს საქართველოსა და უკრაინას და ავიწროვებს ბალტიისპირეთის ქვეყნებს.

სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ აშშ-მ რუსეთი, ფაქტობრივად, მტრად გამოაცხადა.

„პუტინმა აისრულა ოცნება და რუსეთი გადააქცია მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირად“

– რუსეთსა და ამერიკას შორის დაიწყო გამალებული ცივი ომი, რადგან მათ შორის ყველა შეთანხმება ჩაიშალა. შეთანხმდნენ მხოლოდ ირანთან დაკავშირებით, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

– ამერიკელების გაღიზიანება მაინც რამ გამოიწვია?

– ამერიკელების გაღიზიანება გამოიწვია განცხადებამ, რომ რუსეთი ავღანეთშიც აპირებს ზომები მიიღოს. ასევე რუსეთი გეგმავს სინაის ნახევარკუნძულზე ომის დაწყებას ისლამისტების სინაის ნახევარკუნძულის დაჯგუფების წინააღმდეგ.

– ანუ რუსეთი არც ერთ ფლანგზე უკან არ იხევს. აწარმოებს ლოკალურ ომებს. საქართველო, უკრაინა, ავღანეთში რაღაცის გაკეთება უნდა, სირიაში მონაწილეობს. რუსეთის ეს სტრატეგია ამართლებს?

– ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე რუსეთი აჩვენებს, რომ ისეთივე ჰეგემონია, როგორც ამერიკა. ამით ამერიკის ჰეგემონობის დასასრულს ხაზს უსვამს.

– თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში მითხარით, რომ რუსებმა მოახდინეს თავისი შეიარაღების გადახალისება და, საერთოდ, სამხედრო მანქანის რეკონსტრუირება. ამდენად, ომისთვის რუსეთი უფრო მომზადებულია, ვიდრე ნატო.

– ნატოს ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ რუსეთი შეიარაღების რაღაც ტიპებით ჯობნის კიდევაც. შესაბამისად, ნატოში სერიოზულად განიხილება ნატო-რუსეთის საომარი ქმედებების განხორციელების სცენარებიც კი.

– ნატომ ხომ არ დააგვიანა მზადება?

– ნატოსა და ამერიკის ოფიციალური პირებიც გარკვეულწილად ამას ადასტურებენ. მათმა შეშფოთებამ რამდენიმე განცხადებაში გაიჟღერა. ნატო ახლა იწყებს რუსეთის შეკავების სტრატეგიის ახალი გეგმის შემუშავებასა და მის განხორციელებას.

– განხორციელება რაში გამოიხატა?

– ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ნატოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე ფართომასშტაბიანი წვრთნების დაწყება ამას მიანიშნებს.

– რუსეთი, ფაქტობრივად, ნახევარ მსოფლიოს – ამერიკას, ნატოს ევროპულ ქვეყნებს, ისლამისტებს უპირისპირდება. მათ გამკლავებას შეძლებს?

– ამ ეტაპზე რთულია საუბარი. ყოველ შემთხვევაში, რუსეთმა აიღო ავანტიურისტული საგარეო კურსი. მას გამოუჩნდნენ მოკავშირეები ჩინეთისა და ინდოეთის სახით. ამას ხელი შეუწყო შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის გაძლიერებამაც, რომელშიც შევიდა პაკისტანიც, ანუ ამერიკის სტრატეგიული პარტნიორიც კი. რუსეთი თავისი ჰეგემონობის მტკიცებას არ იშლის. ჯერჯერობით, რუსეთს ეს თამაშის წესები გამოსდის. მერე რა იქნება და პროცესები როგორ წარიმართება, გაურკვეველია.

– რუსეთისთვის იმ ქვეყნების მხარდაჭერა, რომლებიც თქვენ დაასახელეთ, შეიძლება ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარეა. კრიტიკულ მომენტში ისინი შეიარაღებულ მოქმედებებში ჩაერთვებიან?

– ჩინეთსა და ამერიკას შორის ლამის დაიწყო შეიარაღებული შეტაკება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საზღვაო აკვატორიაში. ჩინეთი და რუსეთი ამ ეტაპზე სტრატეგიული პარტიორები არიან. მათი პარტნიორობა დასავლეთის წინააღმდეგაა მიმართული.

– რას მიიღებს ჩინეთი რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობით?

– შესაძლოა, ჩინეთი რუსეთისგან მიიღებს ეკონომიკური დახმარების პაკეტს და ენერგომატარებლებს. მეორეც – ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია ახალი შეიარაღების მოდელების მიღება. მესამეა, რუსეთსა და ჩინეთს შორის გეოპოლიტიკური ურთიერთობების განვითარება. ჩინეთს რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ფონზე გლობალური მოთამაშის სტატუსი ენიჭება.

ეს სამი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რის გამოც ჩინეთს აწყობს რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება. ჩინეთი რუსეთთან ასეთი განვითარების ფონზე მოგებას მიიღებს,

– დასავლეთს რუსეთის სამხედრო მზადება გამოეპარა?

– ასე გამოდის. სირიის კონფლიქტმა ეს ძალიან ნათლად აჩვენა. სირიაში რუსეთის შეიარაღებული ძალების კონტინგენტი უცბად ისე გაჩნდა, რომ ევროპელებისა და ამერიკელებისთვისაც ერთგვარი სიურპრიზი გამოდგა.

– როგორც ვიცი, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ამერიკა რუსეთს ეხმარებოდა. თუ არ ვცდები, ყოველწლიურად 4 მილიარდს აძლევდა. ე.ი. დასავლეთს მის მიერ გაღებული დახმარება ცუდად მიუბრუნდა?

– მაშინ სხვა დრო იყო. რომ არა ამერიკის დახმარება, რუსეთი შეიძლება ქაოსური ტიპის ქვეყნად გადაქცეულიყო. ბირთვული სტატუსის მქონე ასეთი ქვეყნის დასუსტება არავის აწყობდა. ამიტომ, როცა რუსეთს ეხმარებოდა, ამერიკას თავისი პრაგმატული ინტერესი ჰქონდა. რუსეთს დასავლეთის დიდი ვალი ჰქონდა, მაგრამ პუტინის მმართველობის პერიოდში ეს დავალიანება მთლიანად გაისტუმრეს. დღეს რუსეთს საგარეო ვალი არ გააჩნია, არც ამერიკისა და არც ევროკავშირის მიმართ.

– პუტინმა ეს როგორ მოახერხა?

– რუსეთს სავალუტო ფონდის ვალიც არ გააჩნია, ყველა ვალი გასტუმრებულია. პუტინმა ეს შეძლო 2000-2008 წლებში ნავთობის მაღალი ფასებით. ამით მან შეძლო არა მხოლოდ ვალების გასტუმრება, არამედ სტრატეგიული სავალუტო რეზერვების დაგროვება.

დღეს რუსეთის სავალუტო რეზერვები შეადგენს 450 მილიარდ დოლარს. ეს სავალუტო რეზერვები რაღაც მომენტებში 1 ტრილიონ დოლარსაც აღწევდა.

– დასავლეთის სანქციებმა შედეგი არ გამოიღო?

– დასავლეთის სანქციებმა რუსეთის ეკონომიკას გარკვეული ზიანი მიაყენა, მაგრამ სერიოზული არა. პირიქით, ამ სანქციებმა უფრო დიდი აგრესიის გამოვლენა გამოიწვია, რუსეთი უფრო საშიში გახდა.

– რუსეთი ატომური ბომბით იმუქრება, რაც ამერიკელმა მაღალჩინოსნებმაც აღნიშნეს.

– საბჭოთა კავშირი არ იმუქრებოდა ბირთვული ომით? დღეს რუსეთი არის მოდერნიზებული საბჭოთა კავშირი. პუტინმა აისრულა თავისი ოცნება და რუსეთი გადააქცია მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირად. დასავლეთის ამოცანაა, მოახდინოს თავისი შესაძლებლობების მობილიზება და შეძლოს რუსეთის ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის შეჩერება.

– ანუ დაიწყება გამალებული შეიარაღების პერიოდი.

– გამალებული შეიარაღება უკვე დაიწყო სერიოზული ტემპებით. ახლა საქმე მიდგა სერიოზული კონცეპტუალური დოკუმენტების მიღებაზე აშშ-ის მიერ, რომელიც ითვალისწინებს რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების სცენარების განვითარებასაც.

ამერიკასა და ევროპას შორისაც არ არის ჰარმონიული ურთიერთობა. ეს გამოჩნდა მაშინ, როცა ამერიკამ და რუსეთმა ვერ მიაღწიეს ტრანსატლანტიკური სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებას. ეს ცუდი გარემოებაა. ნოემბრის ბოლოსთვის დაიგეგმა პუტინის ვიზიტი საფრანგეთში.

– ეს რას ნიშნავს?

– იმ ფონზე, როდესაც პუტინის ჩათვლითაც კი რუს მაღალჩინოსნებს დაწესებული ჰქონდათ შეზღუდვები, საფრანგეთში მის ვიზიტზე დათანხმება რას ნიშნავს, მკითხველმა გააკეთოს დასკვნა.

კარლო კოპალიანი: „მარგველაშვილმა ავლაბრის რეზიდენცია უნდა დატოვოს“

შორენა მარსაგიშვილი

რა სამართლებრივი გზებით უნდა გამოიყვანონ მარგველაშვილი რეზიდენციიდან, რატომ უნდა შეეჩერებინათ სააკაშვილისთვის აქამდე მოქალაქეობა, რას უნდა მიხედონ ელჩებმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კარლო კოპალიანი ესაუბრება.

„სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა აქამდე უნდა ჩამორთმეოდა“

– ყოფილმა პრემიერმა კიდევ ერთხელ მოითხოვა, რომ მარგველაშვილმა ავლაბრის რეზიდენცია დატოვოს და ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციაში გადავიდეს. მის ამ მოსაზრებას საპარლამენტო უმრავლესობაც იზიარებს. ასეთი მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე მარგველაშვილის გამოსახლება?

– გამოსახლება რატომაა? ჩვენ მის გარეთ გამოგდებას კი არ ვაპირებთ, უბრალოდ მოვუწოდებთ, რომ გადავიდეს ათონელის ქუჩაზე, სადაც მშვენიერი რეზიდენცია გაკეთდა.

– ავლაბრის რეზიდენციაში რომ დარჩეს, ამით რამე დაშავდება?

– დაშავებით არაფერი დაშავდება, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს მის მიერ გაკეთებული განცხადება. საჯაროდ განაცხადა, მე მაგ გარყვნილების ბუდეში არ შევალო. მისი ეს განცხადება ბიძინა ივანიშვილსაც კარგად ახსოვს და სთხოვს, რომ დატოვოს გარყვნილების ბუდე.

– ყველაზე დიდ გაღიზიანებას ის იწვევს, რომ ამ მოწოდებით ყოფილი პრემიერი გამოდის.

– გადამრევს ეს ხალხი, ბიძინა ივანიშვილის ნებისმიერ განცხადებაზე გიჟდებიან. კი მაგრამ, დემოკრატიულობაზე რომ გაქვთ პრეტენზია, არ იცით, რომ დემოკრატიულ სამყაროში ყველას აქვს საკუთარი აზრის დაფიქსირების უფლება? ახლა ერთი ამბავი ატეხეს, რატომ მოსთხოვა მარგველაშვილს ავლაბრის სასახლიდან გამოსვლაო. ის დაგავიწყდათ, პრეზიდენტის სავარძელში ივანიშვილმა რომ ჩასვა?!

არჩევნებამდე და მის შემდეგაც პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა, რომ იმ დაწყევლილ სასახლეში არ შევიდოდა. ეს დაპირება კარგად ახსოვს ექსპრემიერს და ამიტომ კითხულობს, რატომ ჯინიანობს მარგველაშვილი. თან, როგორც ირკვევა, მარგველაშვილსა და ივანიშვილს შორის იყო შეთანხმება, რომ ავლაბრის რეზიდენციაში სხვა დაწესებულება გაკეთდებოდა. ავლაბრის რეზიდენციიდან წამოსვლა ყველაზე მეტად მარგველაშვილს უნდა აწყობდეს.

– რატომ უნდა აწყობდეს?

– იმიტომ, რომ საჯაროდ აქვს პირობა დადებული, არ შევალო. პირის გატეხვა კი ძალიან ცუდი ტონია. ეს არავის ეპატიება, პრეზიდენტს, მით უმეტეს. საბავშვო ბაღის მოსწავლე ხომ არაა, ასე მარტივად გადათქვას თავის სიტყვა. ამის გამო მან საქართველოს მოსახლეობაში ნდობა დაკარგა და მეეჭვება, საზღვარგარეთ მას ვინმე ენდოს.

– კარგი, ვთქვათ, მან პირი გატეხა, მაგრამ მაინც გაუგებარია, რა აუცილებელია მისი გადაყვანა ათონელზე, ასე ძვირი უჯდება სახელმწიფოს პრეზიდენტის სასახლის შენახვა?

– ზუსტად რა ჯდება ამ სასახლის შენახვა, არ ვიცი, მაგრამ ძვირი რომ დაჯდება, ეს ცხადია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას კონსტიტუციით რა უფლებამოსილებაც აქვს, საამისოდ ამხელა სასახლე არ სჭირდება.

– უფლებამოსილება რა შუაშია სასახლის სიდიდესთან?

– მის წინამორბედს გაცილებით მეტი უფლებები ჰქონდა და, შესაბამისად, დიდი ადმინისტრაცია ჰყავდა. მათთვის დიდი ფართი იყო საჭირო. ახლანდელ პრეზიდენტს არც დიდი აპარატი ჰყავს და არც დიდი ადმინისტრაცია, შესაბამისად, ამხელა სასახლე საჭირო არ არის. მარგველაშვილმა რეზიდენცია უნდა შეიცვალოს.

– ეს ადამიანი იქიდან გამოსვლას არ აპირებს და როგორ წარმოგიდგენიათ მისი გამოყვანა?

– რაღაც სამართლებრივ გზას მოვძებნით ამისთვის. უკანონოდ არავინ გამოასახლებს მას.

– კანონიც რომ მიიღოთ, რას იტყვის ამაზე დასავლეთი? ცოტა უხერხული არ იქნება, პრეზიდენტს რომ გამოასახლებენ?

– უხერხული ის არ არის, პრეზიდენტი თავის სიტყვას რომ გადავა? ამაზე რატომ არ შეშფოთდა დასავლეთი? ყველაფერი იციან და ის ვერ მოისმინეს, მარგველაშვილი რომ იძახდა, არ შევალო? საერთოდ, როდემდე უნდა ვიყოთ იმაზე დამოკიდებული, თუ რას იტყვის ჩვენზე დასავლეთი? ბოლო ხანებში ძალიან გააქტიურდნენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები. ლაპარაკს არავის ვუკრძალავ, მაგრამ მათი საქმე ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევა არ არის. ელჩის მოვალეობაა ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობების დამყარება. ესენი სულ ჩვენს კრიტიკაში არიან.

ნაციონალები მათ განცხადებებს ბოროტად იყენებენ და თავიანთ ნამოქმედარს დასავლეთის შეშფოთებით აპრავებენ. ჩვენ იმაზე გვსაყვედურობენ, ელჩის განცხადება როგორ გააკრიტიკეთო. თავად ამ დიპლომატებს სულ დებილებს ეძახიან.

– ნაციონალები ეძახიან დიპლომატებს დებილებს?

– ყველა ასე არ მოიხსენიებს, მაგრამ მათი ბელადი დებილებად მიიჩნევს ევროპელებს. მისი ასეთი განცხადება ყველამ მოვისმინეთ, როცა ის აუდიო-ჩანაწერები გამოქვეყნდა, რომელთა სინამდვილეშიც ეჭვი ნაციონალებს არ შეუტანიათ.

ახლა მაინტერესებს, რატომ არ აღშფოთდნენ ამაზე ევროპელები. არა მგონია, ვინმეს მოსწონდეს, რომ დებილად იხსენიებენ. „ქართული ოცნების“ რომელიმე წარმომადგენელს ასეთი რამ რომ ეთქვა, მთელი ევროპა აღშფოთდებოდა.

– მათ აღუშფოთებლობას რითი ხსნით?

– ალბათ ნაციონალებს რაღაცაში ჰყავთ გამოჭერილი. სხვანაირად ვერ ამიხსნია ვერც მათი ასეთი მხარდაჭერა მათდამი და ვერც ეს დუმილი. იმის მაგივრად, რომ პასუხი მოითხოვონ, ახლა იმაზე ჩივიან, სააკაშვილს მოქალაქეობა რატომ უნდა ჩამოერთვასო.

– ამის გამო სააკაშვილიც შეწუხებულია. განაცხადა. მე სახელმწიფო ავა შენე და ჩემთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა ღორობააო. ამაზე რას იტყვით?

– ჯერ მაგის აშენებული სახელმწიფო არ გაიშვა და მეორე, ამ შემთხვევამ გამოაჩინა, რომ ღმერთი მაღალია და ყველას იმას უგზავნის, რაც დაიმსახურა. 2011 წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა. ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში მას საქართველოს მოქალაქეობა წაართვა სააკაშვილმა. მოქალაქეობა წაართვა იმ კაცს, რომელმაც ქვეყნის განვითარებას 3 მილიარდი მოახმარა და მის გაკეთებულ საქმეებს სააკაშვილი იბრალებდა.

სააკაშვილისთვის მოქალაქეობა კარგა ხნით ადრე უნდა ჩამოერთმიათ. ან როგორ არ რცხვენია, ყოფილი პრეზიდენტი სხვა ქვეყანაში წავიდა და რიგით გუბერნატორად დაჯდა. ეს იგივეა, ახლა ბილ კლინტონმა ხაბაროვსკის ან კრასნოდარის მხარის გუბერნატორად დაიწყოს მუშაობა.

უკრაინელებისგანაც მიკვირს, ჩვენს მეგობრებად მიიჩნევენ თავს და ძებნილ სააკაშვილს ოლქის გუბერნატორად ნიშნავენ. ჩვენ რომ გავგიჟდეთ და მათი ძებნილი იანუკოვიჩი აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დავნიშნოთ, ხომ ეწყინებათ? ჩვენ ყველას წყენინებას ვერიდებით და ჩვენც ნუ გვაწყენინებენ. სააკაშვილმა ოდესა არჩია საქართველოს და წესით, მოქალაქეობაც იქაური უნდა მიიღოს.

– სხვა რა გზა ჰქონდა, ხელისუფლებამ აქ არ გააჩერეთ, საქმე აღძარით და მასზე ძებნა გამოაცხადეთ.

– საქმე მართლაც აღიძრა, თავის ჩადენილ დანაშაულზე მან პასუხი უნდა აგოს. შეცდომები შევარდნაძესაც კი ჰქონდა, მაგრამ სააკაშვილის მსგავსი დანაშაული არ ჩაუდენია, ამიტომაც იყო, რომ წყნარად ცხოვრობდა კრწანისის რეზიდენციაში. წასვლა რომ მოენდომებინა, სააკაშვილივით უკრაინაში კი არ გაიქცეოდა, ევროპა და ამერიკა სიხარულით მიიღებდნენ, მაგრამ არ წავიდა, იმიტომ, რომ გასაქცევად არ გაუხდია საქმე.

ამან კი ისეთი საშინელებები ჩაიდინა, ენით რომ ვერ აღწერ. კარგად იცოდა, რისი ღირსიც იყო და საქართველოდან მანამდე გაიქცა, ვიდრე ვადა ამოეწურებოდა. მაშინ მასზე არც საქმე იყო აღძრული და არც ძებნა ყოფილა გამოცხადებული. ნაციონალებს რომ ჰკითხო, მზად არიან, საქართველოსთვის მოკვდნენ, მაგრამ როგორც კი დაუძახებენ, ეგრევე სხვა ქვეყნებში გარბიან.

ჩვენი ყოფილი კოლეგა დავით საყვარელიძე, როგორც კი უთხრეს, წამოდიო, გაიქცა უკრაინაში. არადა, მანამდე თავი გადაგვჭამა, ხალხმა ნდობის მანდატი მომანიჭაო. მერე ეს მანდატი რაღაც სამსახურში გაცვალა.

სირიამ შესაძლოა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს

შორენა მარსაგიშვილი

რაზე შეუთანხმდა ცხინვალი დამასკოს

მოსკოვმა ცხინვალის ხელისუფლებას სარეფერენდუმო ვნებები აშკარად ჩაუცხრო და სამხრეთელმა ოსებმაც სხვა თემებზე გადაიტანეს ყურადღება. როგორც ოსური მედია იუწყება, ცხინვალი ომის ქარცეცხლში გახვეულ სირიასთან გეგმავს მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას.

ამ მიმართულებით საქმე სერიოზულად არის, რადგან რუსეთის ფედერაციაში სამხრეთ ოსეთის ელჩი ზნაურ გასიევი სირიის საელჩოში მივიდა და რიი ად ხადდადს ძმობის ხელი გაუწოდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივ თანამშრომლობაზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები დააწყვეს.

ზნაურ გასიევს თუ დაეჯერება, ხადდადმა აღფრთოვანება გამოხატა იმ ბრძოლით, რომელიც სამხრეთელებმა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გასწიეს (ეტყობა, ამ კაცს არ უთხრეს, რომ ოსები მზად არიან დამოუკიდებლობა რუსეთში შემავალი გუბერნიის სტატუსზე გაცვალონ).

აღფრთოვანებულმა სირიელმა სამხრეთელთა დესპანს რუსეთის ფედერაციაში სთხოვა, ჩემი სახელით მადლობა გადაეცი ლეონიდ თიბილოვსო, რომელსაც ცოტა ხნის წინ სირიის თავკაცის ბაშარ ალ ასადის მიმართ უდიდესი მხარდაჭერა გამოუხატავს.

– სირია დღეს ფეხზე ჩვენი ხალხის სიმტკიცის და რუსეთის მხარდაჭერის წყალობით დგას. რუსეთთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და მათ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით, მაგრამ სხვა ქვეყნების მხარდაჭერაც გვჭირდება, – აღნიშნა რუსეთის ფედერაციაში სირიის ელჩმა.

თავისი წილი აღფრთოვანება არც ოს დიპლომატს დაუმალავს. მან სირიელს მასპინძლობისთვის მადლობა მოახსენა, ხოლო მოსკოვს კიდევ ერთხელ უწოდა მხსნელი.

გასიევის განცხადებით, სწორედ რუსეთი იყო ის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც 2008 წელს სამხრეთელები მორიგი გენოციდისგან იხსნა.

ოსი დესპანი დარწმუნებულია, რომ მოსკოვი ასევე იხსნის მსოფლიოს ბოროტი ძალებისაგან.

– რუსეთმა მოძმე სირიელ ხალხს დახმარების ხელი გაუწოდა და ამით მხოლოდ სირია არ გადაურჩენია, მას მსოფლიოში არსებული ვითარების სტაბილიზაციაში დიდი წვლილი შეაქვს, – აღნიშნა სამხრეთელთა ელჩმა.

შეხვედრის დამლევს ხადდადს ზნაურ გასიევისთვის მადლობა გადაუხდია, რა კარგი კაცი ხარ, რომ მესტუმრეო. სირიელს პირობაც მიუცია, ამ შეხვედრის დეტალებს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასაც გადავცემო.

◆ ◆ ◆

ამ შეხვედრაზე სამხრეთელთა დამოუკიდებლობის აღიარება არავის უხსენებია, თუმცა ცხინვალში არ გამორიცხავენ, რომ ახლო მომავალში დამასკომ შესაძლოა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს.

ორგანიზაცია ალონის ლიდერი სოსლან კოკოევი, რომელიც თავის მხრივ რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე ოცნებობს, მიიჩნევს, რომ აღიარების თემაზე დამასკოსთან მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს.

როგორც კოკოევი აღნიშნავს, ამ საქმეში მათ სირიაში მცხოვრები ოსები უნდა დაეხმარონ.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ სირიაში დღეისათვის 2.000-მდე ეთნიკური ოსი რჩება. დანარჩენები სამოქალაქო ომს ევროპის ქვეყნებში გაექცნენ.

ალონის ლიდერის განმარტებით, სირიაში დარჩენილი ოსები ქვეყანაში სერიოზული ავტორიტეტით სარგებლობენ და, რაც მთავარია, ისლამური სახელმწიფოს მხარეს არ იბრძვიან.

– ეს ადამიანები არ იბრძვიან ბაშარ ალ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ. არც ერთი მათგანი არ შესულა ისლამური სახელმწიფოს რიგებში. ეს მაშინ, როცა ისლამური სახელმწიფოს მხარეზე საომრად კავკასიელი ოსები ჩავიდნენ, – აღნიშნავს კოკოევი.

ისლამური სახელმწიფოს მხარეზე საომრად ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ ოსეთის მაცხოვრებლები წავიდნენ.

ოფიციალური ინფორმაციით, იქ 7 ახალგაზრდა წავიდა. ვლადიკავკაზში კი ამბობენ, რომ სინამდვილეში გაცილებით მეტი ოსია იქ წასული.

ცოტა ხნის წინ სირიის კონფლიქტში რუსეთი ჩაერთო. სოსლან კოკოევის თქმით, ამან იქ სიტუაცია გააუმჯობესა.

ალონის თავკაცი დარწმუნებულია, რომ მალე სირიაში ევროპაში გაქცეული ოსებიც დაბრუნდებიან.

– ჩვენი დიასპორა იქ საკმაოდ მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს. კარგი იქნება, თუ ისინი სირიის ხელისუფლებასთან სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე დაიწყებენ მოლაპარაკებებს, – მიიჩნევს კოკოევი.

მისი აზრით, ახლო მომავალში დამასკომ შესაძლოა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს.

ამ თემაზე ჯერ დამასკოსთვის არავის მიუმართავს. შესაბამისად, არც ისაა ცნობილი, მოიცლის თუ არა ცხინვალისთვის ომის ქარცეცხლში გახვეული სირია.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ძ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

კერძო სახლების მშენებლობაზე მოთხოვნა იზრდება

ლალი დავითური

საქართველოში კერძო სახლების მშენებლობის მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდება. რამ განაპირობა კერძო სახლების მიმართ ინტერესი, რა ფასად შეიძლება დღეს საქართველოში კერძო სახლის აშენება, რა სირთულეებს შეიძლება წააწყდეს დამკვეთი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სამშენებლო კომპანია „ლავა ბიზნესის“ დამფუძნებელ ვახტანგ ლაღიძეს.

– რამ განაპირობა კერძო სახლების მიმართ მოთხოვნის გაზრდა?

– დავიწყოთ იმით, რომ პროექტი კეთდება ზუსტად ისეთი, როგორც დამკვეთს სურს, მშენებლობის ყველა ნებისმიერი დეტალი მასთან შეთანხმებით კეთდება, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარია. მეორე ისაა, რომ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს კლიენტის მეთვალყურეობის ქვეშ, რაც იწვევს ხარისხის გარანტიას. თან ფასი, კორპუსის ბინასთან შედარებით, ბევრად დაბალია.

– როგორია მსურველთა რაოდენობა?

– წარმოიდგინეთ, მოთხოვნა კერძო სახლების მშენებლობისა დღითი-დღე იზრდება. თუ ადრე იყო ტენდენცია ცენტრში კორპუსში ბინების შეძენისა, ახლა პირიქით, გარეუბნებისკენ და კერძო სახლების მიმართ უფრო გაზრდილია მოთხოვნა.

– როგორ ხდება დაკვეთა?

– სხვადასხვა ვარიანტია, დავუშვათ, კლიენტს არ აქვს მიწის ნაკვეთი, ამ შემთხვევაში ჩვენ ვთავაზობთ მიწის ნაკვეთს. ამის შემდეგ მივმართავთ არქიტექტორს, მონახაზი კეთდება, ამ ყველაფერს ხარჯებში ვითვალისწინებთ. ჩვენ ვაგვარებთ ყველა საკითხს არქიტექტურიდან ბინის ჩაბარებამდე და ეს ყველაფერი შედის ფასში.

– ფასები რამდენად მისაღებია დღევანდელი კრიზისის ფონზე?

– ფასები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა სურს კლიენტს. ფასს ძალიან ბევრი რამ განსაზღვრავს, – ნაკვეთი როგორია, მდებარეობა, გრუნტი, როგორია კონსტრუქცია და ა.შ. ხარჯთაღრიცხვა კეთდება და იმის მიხედვით განისაზღვრება ფასი.

საშუალოდ შავი კარკასის ფასი მერყეობს 280-დან 300 დოლარამდე, თეთრი კარკასის – 300-დან 350 დოლარამდე.

შავი კარკასის ფასი მერყეობს 280-დან 300 დოლარამდე, თეთრი კარკასის – 300-დან 350 დოლარამდე

– სამშენებლო მასალებზე ფასის მატებამ როგორ იმოქმედა მშენებლობის ხარისხსა და ფასზე?

– სამშენებლო მასალებზე ფასის მატებამ, რა თქმა უნდა, გაგვიზარდა ხარჯები, მაგრამ, ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ხარისხი და ფასები. მინიმალური მოგებით ვიმუშაოთ, რომ არ გავჩერდეთ და არ დავკარგოთ კლიენტი.

– ძირითადად ვინ არიან თქვენი დამკვეთები, მხოლოდ საქართველოში მცხოვრებლები თუ უცხოელებიც?

– ჩვენი ძირითადი დამკვეთები არიან ქართველები, ხშირად გვიკვეთავენ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები. დაინტერესება არის უცხოეთიდანაც, მაგრამ აქ ცოტა რთულია ხოლმე მიწის ნაკვეთის შერჩევა.

– რომელ უბნებში ითხოვენ უფრო ხშირად სახლის აშენებას?

– ძალიან მოთხოვნადია დიდი დიღომი, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია, ბევრი დაკვეთა გვაქვს რეგიონებიდანაც, ჩვენ ვაშენებთ მთელი საქართველოს მასშტაბით.

– რეგიონებში მშენებლობის დროს ადგილობრივ მუშახელს იყენებთ თუ აქედან აგზავნით მშენებლებს?

– დამხმარე მუშებად ადგილობრივებს ვასაქმებთ, ძირითადი მშენებლები კი ჩვენი კადრებია, რომელთა კვალიფიკაციას და გამოცდილებას ვენდობით.

– აშენებულ ბინას ვინ იბარებს, უშუალოდ დამკვეთი, თუ არსებობს ორგანიზაცია, რომელმაც უნდა ჩაიბაროს ეს შენობა?

– პროექტის დამტკიცების შემდეგ, პერიოდულად მერიის წარმომადგენელი ამოწმებს მშენებლობის პროცესს და დასრულების შემდეგ თუ რაიმე ხარვეზი აღმოჩნდა, მერიის არქიტექტურის სამსახური არ ჩაიბარებს შენობას.

– რამდენ კვადრატულ მეტრზე შეიძლება კერძო სახლის მშენებლობა?

– ეს განსაზღვრული არ არის, თუმცა, მე ვურჩევდი, რომ, ვისაც სახლის აშენება უნდა, 300 კვ.მ-ზე ნაკლები მიწა არ შეიძინოს, რადგან დიდი შანსია იმისა, რომ არქიტექტურის სამსახურმა უარი თქვას პროექტის დამტკიცებაზე. შეიძლება სახლი კი ჩაეტიოს, მაგრამ თითოეულ ნაკვეთს აქვს გარკვეული შეზღუდვები, თავისი კოეფიციენტები და ა.შ.

ხშირად დამკვეთი თვითონ ყიდულობს მიწის ფართს, მაგრამ შეიძლება ამ მიწის ფართს ჰქონდეს შეზღუდვები. მაგალითად, გზასთან ახლოს იყოს, ან იმ ზონაში საერთოდ არ შეიძლებოდეს კერძო სახლის მშენებლობა, ან ამ ფართზე რაიმე ისეთი მაგისტრალი გადიოდეს, რომ მასზე მშენებლობის დაწყება არ შეიძლებოდეს და ა.შ.

ამიტომ მინდა ყველას ვურჩიო, მანამ არ გაიგებს, ამ მიწაზე რისი აშენების უფლება აქვს, მანამ არ შეიძინოს მიწის ფართი.

– რა ფართის სახლებზეა მოთხოვნა?

– გვაქვს შეკვეთა როგორც 300 კვ.მ.-ის, ისე 50 კვ.მ-ის სახლებზე, მაგრამ ძირითადად 100 კვ.მ-ს ფართებზეა მოთხოვნა.

– ძირითადი პრობლემა სახლის მშენებლობაში რა არის?

– ძირითადი პრობლემა არის პროექტის დამტკიცება და კლიენტებისგან გაუთვითცნობიერებლად მიწის ფართების შეძენა, რის გამოც ფერხდება პროექტის დამტკიცება. საერთოდ, ძალიან გართულდა მშენებლობის ნებართვის მოპოვება.

კახა კალაძე: „საქართველო ვერ იქნება დამოკიდებული რუსულ გაზზე“

– საქართველო ვერ იქნება დამოკიდებული რუსულ გაზზე იმიტომ, რომ გვაქვს სხვა წყაროები.

ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ გაზპრომთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

– ჩვენ გაზის მოცულობის ძირითად ნაწილს ვიღებთ აზერბაიჯანიდან, თუმცა ყოველწლიურად ჩვენ გვიხდებოდა დამატებითი მოცულობების მიღება გაზპრომისგან, იმ მოცულობების გარდა, რასაც ჩვენ ტრანზიტის საფასურად ვიღებთ იმის გათვალისწინებით, თუ ბაზარს რამდენი სჭირდებოდა – მე კომერციული გაზი მაქვს მხედველობაში. ყოველწლიურად ვიღებდით დამატებით მოცულობებს, ეს მოხდა შარშან, შარშანწინ, გასული წლების განმავლობაში და თუ აუცილებლობა იქნება, მომავალ წლებშიც მოხდება, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, საქართველო არ არის დამოკიდებული რუსულ გაზზე.

– იმიტომ, რომ გვაქვს სხვა წყაროები. 2019 წელს შემოდის ახალი პროექტი – შაჰდენიზის მეორე ფაზა, რომელიც სრულდება და აქედან კიდევ დამატებით მოცულობებს მივიღებთ. ასე რომ, ამ მიმართულებით პრობლემა არ არის. ჩვენ, რა თქმა უნდა, უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ შემოვიყვანოთ სხვა ალტერნატიული მომწოდებლები, იყოს ამის საშუალება, როგორიცაა თურქმენეთი, ირანი. ვმუშაობთ ამ მიმართულებით, – განაცხადა კალაძემ.

– რაზე იყო საუბარი საქართველოში ვიზიტად მყოფ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან?

– იანვრიდან ჩვენ ვგეგმავთ საქართველოს გავლით აზერბაიჯანის ელექტროენერგიის თურქეთის მიმართულებით გატანას. საუბარი იყო ასევე გაზსაცავის მშენებლობაზე, რომელიც ჩვენ 2016 წელს გვაქვს დაგეგმილი, აზერბაიჯანულ მხარესაც აქვს ინტერესი მიიღოს მონაწილეობა როგორც წილობრივად, ასევე ფინანსურად, – განაცხადა კალაძემ.

მინისტრმა აზრი გამოთქვა ირანული გაზის შესახებ.

– ირანი ძალიან საინტერესო ქვეყანაა, რომელიც დღეს უკვე მისაღებია. ამ ქვეყანას დიდი რესურსები გააჩნია და ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ ჩართულები, რომ მათი რესურსები გამოყენებული იქნას ჩვენს საკეთილდღეოდ, შემოტანილ იქნას საქართველოში შეძლებისდაგვარად, რომ იყოს უფრო მეტი კონკურენცია, – განაცხადა კალაძემ.

– არის თუ არა ძვირი ირანული გაზი?

– თუ იქნება კონკურენტუნარიანი ფასები მათი მხრიდან შემოთავაზებული, რა თქმა უნდა, მაშინ შესაძლებელი იქნება იყოს ბაზარზე და კონკურენცია გაუწიოს სხვა მომწოდებლებს.

კალაძის თქმით, უახლოეს მომავალში მისი ირანში ვიზიტი იგეგმება.

ბიბიენი

„აირზენას“ ხელმძღვანელი: „ეგვიპტეში რომ დავფრინავდეთ, რეისებს აუცილებლად შევაჩერებდით“

– „აირზენა“ ეგვიპტეში რომ დაფრინავდეს, რეისებს აუცილებლად შეაჩერებდა – ამ განცხადებას „კომერსანტთან“ ავიაკომპანიის გენერალური დირექტორი აკეთებს.

შეკითხვაზე, ვისი გადაწყვეტილებით უნდა შეჩერდეს ასეთ შემთხვევაში ფრენები, იასე ზაუტაშვილი ამბობს, რომ გაფრთხილებას, ზოგადად, საგარეო საქმეთა სამინისტრო იძლევა.

თუმცა, ზოგჯერ შესაძლებელია, რომ კერძო კომპანიამ გაფრთხილების მიუხედავად რეისების განხორციელება მაინც გადაწყვიტოს. ასეთ დროს კი საქმეში შესაძლოა სადაზღვევო კომპანიაც ჩაერთოს.

– განახორციელოს თუ არა ფრენები, ეს ავიაკომპანიის გადასაწყვეტია, მაგრამ თუ ის სახელმწიფოს საკუთრებაშია, მაშინ სიტუაციაში სახელმწიფოც ერთვება. ჩვენ ვართ კერძო კომპანია და რომ დავფრინავდეთ მაგ მიმართულებით, გადაწყვეტილებას ჩვენით მივიღებდით.

შეიძლება კერძო კომპანიას ამ მიმართულებით ფრენა უნდოდეს და თქვას, რომ არ აქვს პრობლემა და იფრენს, მაგრამ შეიძლება სადაზღვევო კომპანია ჩაერთოს საქმეში და უთხრას, რომ მათი დაზღვევა ამ ტერიტორიაზე ფრენას არ დაფარავს, – აცხადებს ზაუტაშვილი.

◆ ◆ ◆

შეჩერდება თუ არა საქართველოდან ეგვიპტის მიმართულებით ფრენები, ამ დრომდე უცნობია. არაერთი მცდელობის მიუხედავად, „კომერსანტმა“ ვერ შეძლო იმ უწყების დადგენა, რომლის პირდაპირი მოვალეობაცაა ასეთ დროს გადაწყვეტილების მიღება. უწყებებმა ერთმანეთთან გადაგვამისამართეს და კონკრეტული პასუხიც ვერც ერთი მათგანისგან ვერ მივიღეთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთან მხოლოდ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში ისაუბრეს.

სააგენტოს თავმჯდომარე გურამ ჯალაღონია განმარტავს, რომ ფრენების გაუქმების გადაწყვეტილება სახელმწიფომ უნდა მიიღოს და არა – მისმა უწყებამ.

შეკითხვაზე, ხომ არ აპირებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ფრენების შეჩერების ინიციატივით სახელმწიფოს მიმართოს, ჯალაღონია აცხადებს, რომ ჯერჯერობით მას ეს გადაწყვეტილება არ მიუღია და ამ საკითხზე აუცილებლად დაფიქრდებიან. მისივე თქმით, სააგენტომ კომპანიები გააფრთხილა და გადაუგზავნა ინფორმაცია, სადაც განხილულია, როგორ უნდა აწარმოონ ფრენები, რა სიმაღლეზე და რა მარშრუტებით იფრინონ და ა.შ.

31 ოქტომბერს, სინაის ნახევარკუნძულზე რუსული ლაინერის კატასტროფას 224 ადამიანი ემსხვერპლა. ამის გამო, რუსეთმა და ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, ეგვიპტეში ფრენაზე დროებით უარი თქვეს.

მარიამ გეგეჭკორი, კომერსანტ.ge

საქართველოში მედიკამენტების ფასი გაიზარდა

ბოლო პერიოდში საქართველოში მედიკამენტების ფასი 5%-დან 20%-მდე გაიზარდა.

აფთიაქებში ამბობენ, რომ ფასმა არა მხოლოდ სარეცეპტო, არამედ ურეცეპტოდ გასაცემ მედიკამენტებზეც მოიმატა. როგორც ბიპიენს რამდენიმე აფთიაქში განუცხადეს, განსაკუთრებით გაძვირდა ჰიპერტენზიის საწინააღმდეგო საშუალებები. აფთიაქებში წამლებზე ფასის მატებას კვლავ ლარის გაუფასურებას უკავშირებენ.

გაძვირებულ მედიკამენტებზე საუბრობენ მომხმარებლები, რომლებსაც ბოლო დღეებში მედიკამენტების შეძენა გაძვირებულ ფასად უწევთ.

ზეინაბ ნასყიდაშვილი არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალება „დიკლოფეროლის“ მუდმივი მომხმარებელია. ის ამბობს, რომ ბოლო პერიოდში მისი ფასი თვალშისაცემია.

– სახსრები მაწუხებს და მხოლოდ „დიკლოფეროლი“ მიყუჩებს ტკივილს. თითქმის ყოველდღიურად მოვიხმარ. თუმცა ბოლო პერიოდში იმდენად გაიზარდა მისი ფასი, რომ იშვიათად ვყიდულობ. ადრე 1 ფირფიტის ფასი 5,3 ლარს შეადგენდა. ახლა 6,8 ლარამდე გაიზარდა. ლარის გაუფასურებამ ყველაფერი გააძვირა და არც

წამლები დარჩა გამონაკლისი, – განაცხადა ზეინაბ ნასყიდაშვილმა.

გაძვირებულ მედიკამენტებზე საუბრობს ზურა თვაური, რომელიც თვალის წვეთებს „სისტეინ ულტრას“ რეგულარულად მოიხმარს.

– თუ ადრე „სისტეინ ულტრაში“ 11 ლარს ვიხდიდი, ახლა მისი ფასი 19 ლარამდე გაიზარდა. აღარაფერს ვამბობ სხვა მედიკამენტების გაძვირებაზე, – განაცხადა ზურა თვაურმა, რომელიც წამლებზე ფასის მომატებას რეცეპტულ სისტემას უკავშირებს.

მცირედით, თუმცა მაინც არის გაძვირებული ბავშვის ხველების წამალი „პუროქსანი“.

მედიკამენტები გაძვირდა როგორც პატარა, ისე ქსელურ აფთიაქებში, თუმცა დიდ აფთიაქებში მოქმედებს ფასდაკლება, რომელსაც ყველა აფთიაქი სხვადასხვა დღეს აცხადებს და ისიც გარკვეული სახის მედიკამენტებზე.

თიკო გურაშვილი, ბიბიენი

„პოლიციელები, რომლებმაც ადვოკატს სცემეს, მთვრალები ან დაბოლილები იქნებოდნენ“

ეს ზუსტად იგივე კატეგორიაა, როგორიც ციხეებში მუშაობდა სააკაშვილის დროს. მათ მიაჩნდათ, რომ პატიმრების ცემა-წამებით დანაშაულის წინააღმდეგ იბრძოდნენ და კარგ საქმეს აკეთებდნენ

ნონა ცაბაძე

ვაკე-საბურთალოს პოლიციაში ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იუსტიციის უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი მიიჩნევს, რომ ამის ჩამდენები მკაცრად და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

– ბატონო გელა, რა მოხდა რეალურად?

– ადვოკატი არასრულწლოვანს იცავდა, პოლიციელებმა არასრულწლოვანისგან მოითხოვეს, პირდაპირ ხელი მოეწერა აღიარებით ჩვენებაზე და თანამზრახველები დაესახელებინა. ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ უთხრა, დუმილის უფლებას იყენებსო. ეს როგორ გაბედეო და დაუწყეს ცემა.

ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი პოლიციელი ამას არ ჩაიდენდა. არა მგონია, იმდენად ბრიყვები იყვნენ ის პოლიციელები, რომ ეს გაეკეთებინათ.

– რა იგულისხმეთ?

– მე ვვარაუდობ, რომ პოლიციელები იყვნენ მთვრალები, ან დაბოლილები. მინიმალური ტვინი მაინც ექნებოდათ იმისა, რომ ეფიქრათ, ამას რაც მოჰყვებოდა.

– რას ამბობთ, ბატონო გელა, ეს ხომ კიდევ ერთი დანაშაულია? ნასვამი ან დაბოლილი პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს?

– რა თქმა უნდა, დანაშაულია! როგორც ჩანს, ჰქონდათ იმედი, რომ შერჩებოდათ. მაშინვე დაიწყეს გაფორმება წინააღმდეგობის გაწევის. კარგია, რომ არ გამოუვიდათ. იმედია, დამნაშავე პოლიციელები სამაგალითოდ დაისჯებიან.

– ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსი გადადგა.

– ეს საკმარისი არ არის! უნდა დაიწყოს ძიება. სულაც არ არის რთულად გამოსაძიებელი საქმე. რა უნდა იმის დადგენას, ვინ მორიგეობდა იმ დღეს, ადვოკატიც იცნობს მათ სახეზე და ალბათ პიროვნულადაც იცის, ვინც არიან.

– რეაგირება სწრაფად არ მომხდარა?

– საკმაოდ გვიან მოხდა რეაგირება, დაახლოებით მეოთხე დღეს. ეს უკვე მინუსია. ასეთი გამონაკლისი შემთხვევები შესაძლებელია ყველგან მოხდეს, მაგრამ სახელმწიფოს დემოკრატიულობა და ნორმალურობა იზომება იმით, თუ როგორ რეაგირებას ახდენს სახელმწიფო ამაზე.

– ანუ ისევ შემორჩა ძალოვან უწყებებში მსგავსი ფაქტები?

– ფაქტია, როდესაც ადვოკატის მიმართ ბედავენ ამას, დაკავებულის მიმართ რას იზამენ!

– რა უნდა იყოს ის მკაცრი და სამაგალითო სასჯელი?

– საკმაოდ მძიმე დანაშაულია. ერთია, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება აშკარად იკვეთება, ამას ემატება ისიც, თუ ნასვამები იყვნენ, თუმცა ისე გვიან დაიწყეს ამაზე რეაგირება, ამას ვეღარ დაადგენენ. მთავარია ექსპერტიზის დასკვნა – როგორი დაზიანებები ჰქონდა. ამის მიხედვით იმსჯელებენ. საუბარია სხეულის განზრახ დაზიანებაზე.

– თქვენს პრაქტიკაში თუ გქონიათ მსგავსი შემთხვევა, რომ პოლიციელი ნასვამი ან დაბოლილი ყოფილიყოს?

– პირადად მე არ მქონია. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ისინი ერიდებოდნენ მსგავს რაღაცებს. მე არ ვიცი, იქ რა კატეგორიის ხალხი იყო. თან ერთი რომ ყოფილიყო, კიდევ იტყოდი, რომ რაღაცა გამონაკლისი მოხდა, მაგრამ იქ როცა უფროსი იყო, მისი მოადგილე და კიდევ რამდენიმე ადამიანი, ეს არის კოლექტივი.

– ანუ ერთობლივად ამ სტილით მუშაობენ?

– დიახ, ეს არის კარგად შეკრული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ასე მუშაობს! ეს ის კატეგორიის ხალხია, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დანაშაულს ებრძვიან და ამით ქვეყანას ემსახურებიან.

ეს ზუსტად იგივე კატეგორიაა, როგორიც ციხეებში მუშაობდა სააკაშვილის დროს. მათ მიაჩნდათ, რომ პატიმრების ცემა-წამებით დანაშაულის წინააღმდეგ იბრძოდნენ და კარგ საქმეს აკეთებდნენ.

– ბატონო გელა, სასამართლოს შესახებაც გკითხავთ, როგორც ამბობენ, არც იქ მიმდინარეობს დემოკრატიული პროცესები. პარლამენტი გამოდის შუამდგომლობით და საკონსტიტუციო სასამართლოს ორი მოსამართლის აცილებას ითხოვს რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით და მიზეზი ნიკა გვარამიასთან ახლობლობაა. უნდა გახდეს ეს აცილების საფუძველი?

– მე რომ ამ მოსამართლეების ადგილზე ვიყო, არ დაველოდებოდი იმის გარჩევას, რამდენად შეიძლება იყოს ეს აცილების საფუძველი და აუცილებლად ავიცილებდი.

– დანაშაულზე შეიძლება იყოს საუბარი?

– არა, დანაშაული არ არის, რასაკვირველია, მოსამართლე თვითონ წყვეტს ამას, მაგრამ ეჭვი აუცილებლად დარჩება. თავისუფლების ინსტიტუტიდან მოდის კოტე ვარძელაშვილი. ის პიროვნულად ძალიან კარგი ადამიანია, მეც მქონია მასთან ურთიერთობა, მაგრამ ის ფაქტი, რომ აქედან მოდის, მეგობრები ჰყავს იქ და იმ გუნდის წევრია...

– ეს კითხვის ნიშნებს აჩენს?

– რა თქმა უნდა. ძალიან ძნელია, მიუკერძოებელი დარჩე ასეთ შემთხვევაში. მით უმეტეს, რომ მისი მეუღლე გვარამიას მოადგილე იყო.

– ასევე მუდმივად დაპირისპირებაა იუსტიციის საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შორის. რა ხდება, რისთვის მიდის ბრძოლა?

– ამ ბოლო დაპირისპირების დროს მოსამართლე ურთმელიძის მიწვევა საბჭოს სხდომაზე, იყო შეცდომა გვენეტაძის მხრიდან.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მართლები იყვნენ იუსტიციის საბჭოს წევრები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ასე არ უნდა გაეკეთებინა. რაც არ უნდა მიწვევა გაეკეთებინა, მას სახე ჰქონდა ისეთი, რომ მოსამართლეს იბარებდნენ. თან რუსთავი 2 მთელი ორი დღე ატრიალებდა, რომ აი, მოსამართლე დაბარებულია, მას პასუხს მოსთხოვენ. აი, ასე შეფუთეს და მიაწოდეს ხალხს და ამის საფუძველი ნინო გვენეტაძეს არ უნდა მიეცა. მოკლედ, მისი მხრიდან ეს იყო შეცდომა!

შსს-მ ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი არიფ ა. ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის დაუფლების მიზნით, გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარაში მცხოვრები ტელმან ხ-ის სახლზე ყაჩაღური თავდასხმა დაგეგმა, რაც ვერ განახორციელა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, არიფ ა. სოფელ ჯანდარაში, ტელმან ხ-ის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იმ დროს დაკავეს, როდესაც ის დაგეგმილი დანაშაულის განხორციელებას აპირებდა. პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანა, ელექტროშოკი და რეზინის ხელთათმანები ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ყაჩაღობის მომზადების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 18-179-ე მუხლით).

შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ 10 პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, მეორე სამმართველოს (ახალციხე) №6 სასაზღვრო სექტორისა (კარწახი) და №5 სასაზღვრო სექტორის (ნიალა) დასაცავ მონაკვეთებზე სომალის რესპუბლიკის ათი მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15-ე დაწესებულების რეჟიმის ცვლის კონტროლიორი გოჩა ნოზაძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გოჩა ნოზაძე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, მოქალაქეს დაჰპირდა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15-ე დაწესებულებაში, შემდგომში პატიმრისთვის გადასაცემად შეიტანდა მობილური ტელეფონის სიმ-ბარათს, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო 7.000 ლარი.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 6 დან 9 წლამდე ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

რა ქონების პატრონია მარიკა ვერულაშვილი

მარიკა ვერულაშვილის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის წლიურმა სახელფასო ანაზღაურებამ 54.727 ლარი შეადგინა.

ვერულაშვილმა აღნიშნული თანხა, შრომის ანაზღაურების სახით, 2014 წლის 1-ლი იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიიღო.

აღნიშნული ინფორმაცია მის ქონებრივ დეკლარაციაშია მოცემული.

ამავე დოკუმენტის თანახმად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პარლამენტარის საკუთრებაში უძრავი ქონების 4 ობიექტი ირიცხება:

180.00 კვ.მ ფართობის მქონე საცხოვრებელი სახლი თბილისში;

320.00 კვ.მ ფართობის მქონე საცხოვრებელი სახლი ყვარელში;

40.00 კვ.მ ფართობის მქონე ავტოფარეხი თბილისში;

3 ჰა ფართობის მქონე ვენახი ყვარელში;

უძრავ ქონებას ფლობს დეპუტატის 22 წლის შვილიც.

1993 წელს დაბადებული სალომე ცნობილაძის პირად საკუთრებაში თბილისში, დიდი დიღმის მეურნეობაში მდებარე 1.000 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ფართობი ირიცხება.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს მარიკა ვერულაშვილის კანდიდატურა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ყვარელის მაჟორიტარი დეპუტატის პოსტზე წარადგინა. არჩევნებიდან დღემდე, ვერულაშვილი ყვარელის მაჟორიტარი დეპუტატი და საპარლამენტო ფრაქციის „დამოუკიდებელი მაჟორიტარები – ძლიერი რეგიონებისათვის“ – წევრია.

ნსპ.გე

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ობამა ნეტანიაჰუს შეხვდა



10 ნოემბერს ვაშინგტონში აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა ისრაელის პრემიერ ბენიამინ ნეტანიაჰუს შეხვდა.

ობამასა და ნეტანიაჰუს ურთიერთობებს ხავერდოვანს ვერ ვუწოდებთ. რიგ საკითხებზე (პალესტინური სახელმწიფოს შექმნა, ირანთან დადებული შეთანხმება) მათ საწინააღმდეგო შეხედულებები გააჩნდათ. ფონი, რაც ორი ლიდერის შეხვედრას წინ უძღოდა, არახელსაყრელი იყო.

მიუხედავად ამისა, შექმნილი მდგომარეობა ორივეს ერთობლივი მოქმედებებისაკენ მოუწოდებდა. სირიაში რუსეთის შეჭრის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. წარმოიქმნა რეგიონალური ომის საფრთხე, რამაც ოფიციალური თელ-ავივი შეაშფოთა.

ისრაელისათვის არანაკლებ შემაშფოთებელია სირიაში ჰესბოლას მებრძოლების და ირანელი ჯარისკაცების გამოჩენა – ირანიც და ჰეისბოლაც არ მალავენ, რომ მათი მიზანი ისრაელის საბოლოო განადგურებაა.

ასეთ სიტუაციაში ისრაელს ჰაერივით სჭირდება ძლიერი მოკავშირე. აშშ ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია, ეს როლი იკისროს. თავის მხრივ, ვაშინგტონსაც სჭირდება ისრაელი, ერთადერთი დემოკრატიული სახელმწიფო რეგიონში, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ფორპოსტია.

ეს ყველაფერი შეხვედრაზეც აისახა. ობამამ თავის ებრაელ კოლეგას განუცხადა, რომ აშშ-სთვის ისრაელის უსაფრთხოება მუდამ პრიორიტეტული იყო.

ნეტანიაჰუ კმაყოფილებას არ მალავდა. მან განაცხადა, რომ ისრაელი აშშ-ს მუდამ საიმედო პარტნიორად აღიქვამდა.

– ამერიკა რომ არა, არაბები ყელს გამოგვჭრიდნენ, – თქვა ნეტანიაჰუმ.

შეხვედრაზე აშშ-მ და ისრაელმა ხელი მოაწერს სამხედრო შეთანხმებას, რომლის მოცულობა 30 მილიარდი დოლარია.

გარდაიცვალა ჰელმუტ შმიდტი

ჰამბურგში 96 წლის ასაკში გარდაიცვალა გერმანიის ექს-კანცლერი ჰელმუტ შმიდტი. მას ეს პოსტი 1974-82 წლებში ეკავა.

შმიდტი ე.წ. „რეალ-პოლიტიკის“ მომხრეთა რიცხვს განეკუთვნებოდა. სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „საბჭოთა კავშირი ფაქტობრივად ზემო ვოლტაა, თუმცა მას ბალისტიკური რაკეტები აქვს.“ გამომდინარე აქედან, შმიდტი სსრკ-ს მიმართ ფრთხილი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. თავის დროზე ის დასავლეთ გერმანიაში ამერიკული რაკეტების განლაგებას მხარს არ უჭერდა:

– ამით ჩვენ საფრთხის ქვეშ მოვექცევით, – აცხადებდა შმიდტი.

სსრკ-ს დანგრევის შემდეგაც ექს-კანცლერი რუსეთის მიმართ „რეალისტური პოლიტიკის“ გატარებას მოითხოვდა. კერძოდ, ის სასტიკად წინააღმდეგი იყო როგორც ბალტიისპირეთის, ასევე საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღების.

– ბალტიისპირეთის ქვეყნები ისეთივე ნეიტრალურ სახელმწიფოებად უნდა ჩამოყალიბდნენ, როგორც ფინეთია. რაც შეეხება საქართველოსა და უკრაინას, ეს ქვეყნები ტრადიციულად რუსეთის გავლენის სფეროში იყვნენ. ამ სტატუს-კვოს შეცვლა მესამე მსოფლიო ომს გამოიწვევს, – ამბობდა შმიდტი.

ექს-კანცლერს ეკუთვნის პუტინის მხარდამჭერი რამდენიმე განცხადება. კერძოდ, მან დაგმო რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები და უკრაინის ფედერალიზაციასაც მხარი დაუჭირა:

– უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონი ტრადიციულად რუსეთთან იყო დაკავშირებული. მისთვის უკრაინული ფასეულობების თავს მოხვევა მიუღებელია! უკრაინელებს უნდა ავუხსნათ, რომ თუ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება სურთ, ფედერალიზაციას უნდა დაყაბულდნენ, – აცხადებდა შმიდტი.

ყოფილი კანცლერი არ ეთანხმებოდა მათ, ვინც პუტინს აკრიტიკებდა. მან კანონზომიერი უწოდა ყირიმის რუსეთთან შეერთებას, პუტინის საგარეო პოლიტიკას კი – რაციონალური.

– პუტინი შოვინისტი არაა. მეტიც, შოვინიზმი მისთვის მიუღებელია! ის უბრალოდ რუსეთის ეროვნულ ინტერესებს იცავს. არ მესმის, რა არის ამაში ცუდი? – ამბობდა ექს-კანცლერი.

ნალჩიკში ისლამისტი ტერორისტების ლიდერი მოკლეს

ნალჩიკში ისლამისტი ტერორისტების ლიდერი ზანიკშიევი მოკლეს. რუსი ძალოვნები ირწმუნებიან, რომ ზანიკშიევი ისლამური სახელმწიფოს ნალჩიკის ფილიალს ედგა სათავეში.

ზანიკშიევმა ძალოვნებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. ორმხრივი სროლის შედეგად ის მოკლეს.

ოპერაციის დროს ფსბ-ს თანამშრომლებიც დაიღუპნენ. მათი რაოდენობა ჯერჯერობით არ სახელდება.

ასევე გაურკვეველია ზანიკშიევის საყვარლის ბედიც. თანახმად ერთი ინფორმაციისა, ის მოკლეს. მეორენი ამტკიცებენ, რომ ფსბ-მ ქალის დაკავება მოახერხა.

პუტინის ქალიშვილი მილიარდიანი ქონების პატრონია?

სააგენტო რეიტერის ცნობით, პუტინის უმცროსი ქალიშვილი ეკატერინა ტიხონოვა მილიარდიანი ქონების პატრონია.

სააგენტო ასევე იუწყება, რომ ეკატერინა კარგა ხანია, ქმართან აღარ ცხოვრობს, სამაგიეროდ, ინტიმური კავშირი აქვს პუტინის მეგობრის ვაჟთან, კირილესთან, რომლის მამა, ნიკოლოზ შალამოვი, ბანკ „როსიას“ აქციონერია.

– ეკატერინას და შალამოვის ვაჟს კირილეს გააჩნიათ ვილა სამხრეთ საფრანგეთში, სადაც ერთად ცხოვრობენ, – იტყობინება „რეიტერი“.

ამ ინფორმაციამ კრემლის უკმაყოფილება გამოიწვია. დუმის საგარეო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსეი პუშკოვმა მას რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული იდეოლოგიური დივერსია უწოდა. „რეიტერის“ ინფორმაციას პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვიც გამოეხმაურა:

– ეკატერინა ტიხონოვა პრეზიდენტ პუტინის ქალიშვილი არ არის, – თქვა პესკოვმა.

სირიის არმიამ კვეირასის ავიაბაზის ალყა გაარღვია

სირიაში ბრძოლები გრძელდება.

ასადის არმიამ რუსების დახმარებით კვეირასის ავიაბაზის (ალეპოს მახლობლად) ალყის გარღვევა შეძლო.

ავიაბაზის ტერიტორიაზე 8.000 სირიელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა. ისინი მთელი წელიწადნახევრის მანძილზე ალყაში იყვნენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უნიკალური „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღმი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალ-სახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

● გამაჯანსაღებელი, ანტიცელულიტისა და სარელაქსაციო მასაჟი. ტელ: 555-25-95-68.

იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფები იწყება

სტატისტიკა, ფსონები

დღეიდან ევროპის 8 ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დარჩენილი 4 საგზურის გათამაშებას დაიწყებს.

ყველა საინტერესო მატჩია, მაგრამ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს სკანდინავიური დერბი, სადაც ერთმანეთს დიდი ხნის ნაცნობები, შვედეთისა და დანიის ნაკრებები შეხვდებიან.

12.11 ნორვეგია-უნგრეთი 1.91 3.3 4.33

ურთიერთშეხვედრებში უნგრეთს მცირე უპირატესობა აქვს. 18 დაპირისპირებიდან უნგრელებმა 8 მატჩი მოიგეს, ხოლო ნორვეგიელებმა – 5.

18 მატჩი თანაბრად არის გადანაწილებული ყველა ტურნირზე. გუნდები 6-ჯერ ევროშესარჩევში, 6-ჯერ მსოფლიოს საკვალიფიკაციო ეტაპზე და 6-ჯერ ამხანაგურად გაეჯიბრნენ.

მათი დაპირისპირებები 1957 წლიდან იღებს სათავეს და უნგრელებს ადრეულ წლებში აქვთ მოპოვებული ეს უპირატესობა. 1981 წელს შემდეგ ნორვეგიასთან მოგებული (4:1) შეხვედრის შემდეგ უნგრელებმა ზედიზედ 9 მატჩში ვერ შეძლეს მეტოქის დამარცხება.

თუმცა, მადიარებს ბოლო წლებია, სხვა გუნდი ჰყავთ – უფრო ამბიციური. შეეძლოთ, ფინალურ ეტაპზე პლეი ოფის გარეშეც გასულიყვნენ, მაგრამ თურქებს სასწაულად გაუმართლათ და უნგრელებს საქმე გაურთულეს.

დღეს უნგრელებს დააკლდებათ დისკვალიფიცირებული როლანდ ჯუანჩი – მცველი.

სავარაუდო შემადგენლობები

ნორვეგია: ორჯან ნილანდი, ომარ ელაბდეაური, ვეგარდ ფორენი, ევენ ჰოვლანდი, მარტინ ლინესი, ალექსანდერ ტეტეი, ჰავარდ ნორდვეიტი, შტეფან იოჰანსენი, პერ სკილბრედი, ჯოშუა კინგი, ალექსანდერ სოდერლუნდი

უნგრეთი: გაბორ კირალი, ტამაშ კადარი, ატილა ფიოლა, რიჩარდ გუზმიკსი, ლეანდრო, ბალაშ ჯუჯაკი, დანიელ ტიოშერი, აკოს ელეკი, ზოლტ კალმარი, ნემანია ნიკოლიჩი, ზოლტან გერა

13.11 ბოსნია-ირლანდია 2.0 3.1 4.2

ბოსნია დიდი ხნის სახელმწიფო არ არის და წყვილსაც ურთიერთშეხვედრების დიდი ისტორია არ აქვს. ერთადერთი მატჩი ბოსნიასა და ირლანდიას შორის ამხანაგური იყო – 2012 წელს ირლანდიამ დუბლინში მეტოქე აიდეენ მაკგიდის გოლის წყალობით დაამარცხა.

ხვალ ირლანდიელებს დისკვალიფიცირებული ჯონ ოში და ჯონ ვალტერსი დააკლდებათ.

სავარაუდო შემადგენლობები

ბოსნია: ასმირ ბეგოვიჩი, სენად ლულიჩი, ემირ სპახიჩი, ტონი სუნიჩი, ოგნენ ვრანიეში, მენსურ მუჯდა, მირალემ პიანიჩი, ჰარის მედუნიანი, ანელ ჰაჯიჩი, ედინ ჯეკო, ვედად იბიშევიჩი

ირლანდია: დევიდ ფორდე, სიმუს კულემანი, მარკ უილსონი, რიჩარდ კოეგი, გლენ ველანი, ენდი მაგკიდი, რობი ბრეიდი, ჯეფ ჰენდრიკი, ვეს ჰოლაჰანი, რობი კინი, შონ ლონგი

14.11 უკრაინა-სლოვენია 1.57 3.5 7.0

ეს გუნდები ერთმანეთს 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პლეი-ოფშიც შეხვდნენ და მაშინ სლოვენიელებმა ორი მატჩის ჯამში მოიგეს. უკრაინაში 1:1 დასრულდა, ხოლო ლუბლიანაში მასპინძლებმა 2:1 მოიგეს.

ფრე და მოგება სლოვენიას 1996 წლის ევროშესარჩევში აქვს. ასე რომ, უკრაინისთვის სლოვენია უხერხული მეტოქე გახლავთ.

უკრაინელებს დისკვალიფიცირებულო ოლექსანდრ კუჩერი და ტარას სტეპანენკო დააკლდებათ.

სავარაუდო შემადგენლობები

უკრაინა: ანდრეი პიატოვი, ვიაჩესლავ შევჩუკი, არტიომ ფედეცკი, ევგენი ხაჩერიდი, იაროსლავ რაკიტსკი, ანატოლი ტიმოშუკი, დენის გარმაში, რუსლან როტანი, ევგენი კონოპლიანკა, ანდრეი იარმოლენკო, არტიომ კრავეცი

სლოვენია: სამირ ჰანდანოვიჩი, ბოსტიან სესარი, ანდრას სტრუნა, ბრანკო ილიჩი, ბოიან ჯოკიჩი, ვალტერ ბირსა, დეიან ლაზარევიჩი, იასმინ კურტიჩი, კევინ კამპლი, იოსიპ ილიჩიჩი, რობერტ ბერიჩი

14.11 შვედეთი-დანია 2.3 3.1 3.3

დიდ ინტერესს იწვევს სკანდინავიური დაპირისპირება. სხვა წყვილებისგან განსხვავებით, აღნიშნულმა ნაკრებებმა ერთმანეთის შესახებ ბევრი იციან, რასაც სტატისტიკა ცხადყოფს. გუნდები ერთმანეთს 103-ჯერ (97 ამხანაგური) შეხვედრილან, აქედან შვედეთმა 45 მოიგო, დანიამ – 40.

სავარაუდო შემადგენლობები

შვედეთი: ანდრეას ისაკსონი, მიკაელ ანტონსონი, ანდრეას გრანკვისტი, მარტინ ოლსონი, პიერ ბენგსტონი, კიმ კალსტრიომი, სებასტიან ლარსონი, ერკან ზენგინი, ალბინ ეკდალი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ოლა ტოივონენი

დანია: კასპერ შმეიხელი, სიმონ კიაერი, ლარს იაკობსენი, დანიელ აგერი, სიმონ პოულსენი, მაიკლ კრონდელი, კრისტიან ერიკსენი, ვილიამ კვისტი, პიერ ჰობიერგი, იუსუფ პოულსენი, ნიკლას ბენდტნერი

მამუკაშვილი შოტლანდიაში ითამაშებს

მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ ქართველ მორაგბეებზე მოთხოვნა წამოვიდა. ჯაბა ბრეგვაძის შემდეგ ლეგიონერობის ესტაფეტა შალვა მამუკაშვილმა გადაიბარა, რომელმაც სეზონის ბოლომდე კონტრაქტი შოტლანდიურ გლაზგო ვორიორზსთან გააფორმა.

ბორჯღალოსანთა კვაჭისთვის ინგლისური სეილ შარქსის შემდეგ, ეს მეორე ბრიტანული კლუბია. ასევე მამუკაშვილი მეორე ქართველი მორაგბეა, რომელიც შოტლანდიურ პროფესიულ კლუბში ითამაშებს – 2012-14 წლებში ედინბურგში თამაშობდა ბორჯღალოსანი დიმიტრი ბასილაია.

შალვას ახალი კლუბი, რომელიც გინეს პრო 12-ში (ყოფილი კელტთა ლიგა) ასპარეზობს, 1872 წელს ჩამოყალიბდა. კლუბი პირველობის მოქმედი ჩემპიონია, ხოლო 2015-16 წლის სეზონის 7 ტურის ჯამში 22 ქულით მე-6 ადგილზეა.

პრო 12-ის გარდა, ვორიორზი ევროპული პროფესიული კლუბური რაგბის ჩემპიონთა თასზე მონაწილეობს, სადაც წლევანდელი სეზონი 14 ნოემბერს აიღებს სტარტს. მამუკაშვილის კლუბი ინგლისურ ნორსჰემფთონ სეინთსთან, უელსურ სქარლეთსთან და ფრანგულ მეტრო რასინგთან (დავით ხინჩაგაშვილის გუნდი) ერთად მე-3 პულშია განთესილი. ვორიორზის სამწვრთნელო შტაბმა შალვა ჩემპიონთა თასისთვის გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში უკვე შეიყვანა, სადაც იგი ტრავმირებულ ქევინ ბრაისს შეცვლის.

მამუკაშვილმა სანაკრებო კვართი პირველად 2011 წლის ივნისში ბუქარესტში, სამხრეთ აფრიკის ა ნაკრებთან მოირგო და მას შემდეგ 35 კეპი მოიხვეჭა. ბორჯღალოსნების რიგებში მან 5 ლელო მიითვალა და აქედან გამორჩეულად შესაძლოა 2014 წლის ნოემბრის ტესტებზე იაპონიასთან დადებული ლელო ჩაითვალოს. წლევანდელ მსოფლიო თასზე მან ბორჯღალოსანთა ოთხივე მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ვასილ მაისურაძე: მიზანი ჯგუფიდან გასვლაა

დღეს საქართველოს 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს იწყებს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვასილ მაისურაძემ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართა. მას თან ახლა გუნდის კაპიტანი გურამ გოშთელიანი.

ვასილ მაისურაძე:

– მოსამზადებელი პერიოდის მოკლე ციკლი გავიარეთ, რადგან სანაკრებო პაუზამდე ეროვნული ჩემპიონატის მე-11 ტური იყო. კლუბებმა ფეხბურთელები იმ მატჩების შემდეგ გამოუშვეს. ბაზაზე ერთად მხოლოდ 4 დღე ვივარჯიშეთ, რაც ცოტაა, მაგრამ ამ პერიოდში რაც შეიძლებოდა მაქსიმალურად ყველაფერი მოვასწარით.

შევისწავლეთ მეტოქე გუნდების თამაშები და თეორიულად და ტაქტიკურად ფეხბურთელებთან ვიმუშავეთ. უელსთან დაპირისპირებას სრულ მზადყოფნაში ვხვდებით.

– რამდენად ოპტიმალურია შემადგენლობა და არის თუ არა გუნდი ფიზიკურად მომზადებული?

– შემადგენლობა ოპტიმალურია. გიორგი ბერიძის გარდა, ყველა ფეხბურთელი გვყავს, ვისი ხილვაც გვინდოდა. ფიზიკურ მომზადებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ჩვენი ნაკრების ფეხბურთელების უმეტესობა უმაღლეს ლიგაში თამაშობს.

– არის თუ არა თქვენი გუნდი ფავორიტი და როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება საქართველოს ნაკრების უმთავრესი კონკურენტი?

– არ მჩვევია საკუთარი გუნდის ფავორიტად დასახელება. ჩვენი მთავარი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა. ძლიერი მოწინააღმდეგეები გვყავს. პირველად უელსის ნაკრებს ვეთამაშებით და ეს მატჩი ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. შანსებზე საუბარს უელსელებთან თამაშის შემდეგ უფრო შევძლებ.

– მეკარე ლუკა გუგეშაშვილი 1999 წელსაა დაბადებული და ეს იმას ნიშნავს, რომ 1997 და 1998 წელს დაბადებულებში დიდი კონკურენცია არაა?

– გუგეშაშვილმა თავისი თამაშით დაიმსახურა ჩვენთან გამოძახება. 1997 და 1998-წლიანებშიც არიან მეკარეები, თუმცა ამ ეტაპზე, სათამაშო კუთხით, გუგეშაშვილის გამოძახება ჩავთვალეთ საჭიროდ.

– კახა ცხადაძეს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებთან ჰქონდა შეხვედრა და მათ შორის, თქვენთანაც. ცხადაძემ სურვილი გამოთქვა, რომ ყველა ნაკრებმა იდენტური სისტემით ითამაშოს. თქვენც ცდილობთ, რომ სამმცველიანი სქემით ათამაშოთ გუნდი?

– კახა ცხადაძესთან შეხვედრის შემდეგ, ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებმა გადავწყვიტეთ, რომ ნაკრებები ერთიან სისტემაში მოვაქციოთ და იმ ტაქტიკით ვითამაშოთ, როგორც ეროვნული ნაკრები თამაშობს.

19 წლამდელების ნაკრები დღეს უელსის ნაკრებს მიხეილ მესხზე დაუპირისპირდება.

შედეგები

კალათბურთი

11 ნოემბერი

ნბა. ჩეგულარული სეზონი

კლივლენდი-იუტა	118:114
ვაშინგტონი-ოკლაჰომა	101:125
მაიამი-ლეიკერსი	101:88
ტორონტო-ნიუ იორკი	109:111
მილუოკი-ბოსტონი	83:88
მინესოტა-შარლოტი	95:104
ნიუ ორლეანი-დალასი	120:105

ზაზა ფაჩულია: 12 ქულა, 5 მოხსნა

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სტუმ საკუთარი კედლები ვერ გამოიყენა

დასრულდა კალათბურთში საერთაშორისო სტუდენტური ლიგის ჯგუფური ეტაპი, რომელსაც თბილისის ახალი სპორტის სასახლე მასპინძლობდა.

ტურნირში თბილისის სტუ-ს, მგუ-ს (მოსკოვი), დებრეცენისა (უნგრეთი) და უხტა-ს (რუსეთი) უნივერსიტეტის გუნდები მონაწილეობდნენ.

მომდევნო ეტაპზე ორი საუკეთესო გუნდი გადიოდა და ქართულ გუნდს ამის შანსი ჰქონდა, რადგან მასპინძლის სტატუსი ასეთ დროს ბევრს ნიშნავს. სამწუხაროდ, ქართველმა კალათბურთელებმა ეს ვერ მოახერხეს – 3 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგეს და 4 ქულით მე-3 ადგილზე გავიდნენ. 5-5 ქულა დააგროვეს, 1-2 ადგილები და მომდევნო ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს დებრეცენისა და მგუ-ს კალათბურთელებმა.

ქართველებმა პირველი მატჩი უნგრელებთან ჩაატარეს. ტურნირის მასპინძლებმა პირველ ტაიმში კარგად ითამაშეს, 14 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ მესამე მეოთხედი 5:20 წააგეს, მეტოქეს დასკვნითი ათწუთეულის წინ ქულით ჩამორჩნენ. თუმცა, მისი არა თუ გაბათილება, არამედ „გაზრდა“ მოახერხეს და 61:69 წააგეს.

მეორე ტურში სტუ-მ გამარჯვება მოახერხა და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. ქართველებმა უხტის გუნდი 75:66 დაამარცხეს.

საგზურის ბედი კი ბოლო ტურში სტუ-სა და მგუ-ს შეხვედრაში გაირკვა. სამი მეოთხედი თანაბარი იყო. ბოლო ათწუთეული კი მგუ-მ უკეთ ჩაატარა, მეოთხედი 25:11, ხოლო მატჩი 89:75 მოიგო და მეორე საგზური ირგუნა.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

სოხუმის მერიამ ძროხებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე თვეში აფხაზეთი ფიფას მიერ არაღიარებულთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს ფეხბურთში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სტუმრების დასახვედრად თადარიგი უკვე დაიჭირა. სოხუმის მერიამ ქალაქში უპრაგონოდ მოსეირნე ძროხებს ბრძოლა გამოუცხადა.

მსხვილფეხა პირუტყვის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადება ერთი შეხედვით სასაცილოა, ცხოველთა დამცველები ალბათ გადაირევიან, მაგრამ სოხუმელები მერიის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული არიან.

აფხაზური მედიის ცნობით, ადგილობრივი ძროხები ისე გათავხედდნენ, რომ მანქანების სავალ ნაწილზე სეირნობასაც არ ერიდებიან. რაც ხშირად ხდება თურმე ავარიების მიზეზი.

გათავხედებული საქონლის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების ინიციატივით სოხუმის მერის მოადგილე თემურ ტყებუჩავა გამოვიდა.

როგორც სოხუმის მერიის პრესსამსახურში განმარტეს, ბრძოლის დასაწყებად ტყებუჩავას ქალაქის სათათბიროს თანხმობა სჭირდება. ძროხების თავხედობით აღშფოთებულმა ვიცე-მერმა სათათბიროს წევრებს უკვე გაუგზავნა მიმართვა.

– სათათბიროს წევრების თანხმობა თუ იქნება, მოხდება იმ პირთა დაჯარიმება, ვისი კუთვნილი პირუტყვიც ქალაქის ქუჩებში ივლის. არ არის გამორიცხული, მათი ნაწილი სასაკლაოზეც გადავიყვანოთ, სადაც მათი დაკვლა მოხდება, – აღნიშნავს თემურ ტყებუჩავა.

ვიცე-მერის გადაწყვეტილებით, ქალაქში ძროხების თარეშის აღკვეთის გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და ამ მიმართულებით წესრიგი აუცილებლად დამყარდება.

მისი განცხადებიდან ჩანს, რომ სოხუმის ქუჩებში ძროხების გარდა ცხენებიც კარგად დასეირნობენ.

– ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ სოხუმი საძოვრად გადაიქცეს. ქალაქის ქუჩებში მოსეირნე ძროხები, ცხენები და სხვა ცხოველები აფუჭებენ მწვანე ნარგავებს და გაზონებს, გადაჭამეს ყვავილები. ამის გარდა ისინი გადადიან მანქანის სავალ ნაწილზე და ხშირად ქმნიან საავარიო სიტუაციებს, – განაცხადა ვიცე-მერმა.

ძროხების წინააღმდეგ გამოცხადებულ ომს სათათბიროს წევრი აპსირტ კონჯარიაც უჭერს მხარს. მისი აზრით, ქალაქში პირუტყვის თარეში უნდა აიკრძალოს, ოღონდ ის ბრძოლის უფრო ჰუმანური ფორმების მომხრეა.

აპსირტ კონჯარიას განცხადებით, ქალაქის ქუჩაში დაპატიმრებული პირუტყვის მაშინვე სასაკლაოზე გაგზავნა დაუშვებელია.

დეპუტატის აზრით, პირუტყვი რაღაც დროის მანძილზე უნდა დატოვონ საჯარიმო სადგომში.

– საქონლის შენახვა რამდენიმე კვირაც შეიძლება. პატრონმა მის დასაბრუნებლად მისი ღირებულების ნახევარი უნდა გადაიხადოს ჯარიმის სახით. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, ან პატრონი არ გამოჩნდა, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი სასაკლაოზე გადაყვანა. ხორცი კი გაყიდვის მიზნით ბაზარში გაიგზავნება, – მიიჩნევს კონჯარია.

მისივე განცხადებით, აფხაზეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საფეხბურთო ჩემპიონატს.

– ამ ღონისძიებას სათანადოდ მომზადებული უნდა დავხვდეთ. დაუშვებელია ქალაქის ქუჩებში ნახირის სიარული, – აღნიშნავს დეპუტატი.

მისი ინფორმაციით, ამ საკითხზე სოხუმის სათათბირო საბოლოო განაჩენს დღეს, 12 ნოემბერს დაგეგმილ სხდომაზე გამოიტანს.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ქუჩაში მოსეირნე ძროხებს მუნიციპალური სამსახურები მიხედავენ. დაკავებული ძროხა პატრონს იმ შემთხვევაში დაუბრუნდება, თუ ის 1.500 რუბლის ოდენობის ჯარიმას გადაიხდის.

* * *

აფხაზებმა ძროხების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები აშკარად ჩვენგან გადაიღეს. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქალაქებსა და რაიონებში პრეფექტები დანიშნეს. თავხედმა ძროხებმა ახმეტა მაშინ ძალიან შეაწუხეს, ახმეტის პრეფექტი იძულებული გახდა საგანგებო ბრძანება გამოეცა, რომლის თანახმადაც ადგილზე მოხდებოდა იმ ძროხის ლიკვიდაცია, რომელიც ქალაქის ქუჩაში გაისეირნებდა ან ვენახში შეიჭრებოდა.

ახმეტის პრეფექტურის თანამშრომლები ამ ბრძანებას დიდი სიამოვნებით ასრულებდნენ და, როგორც ამბობენ, იმ პერიოდში ახმეტის პრეფექტურაში ისეთ ხაშლამას ამზადებდნენ, თითებს ჩაიკვნეტდი.

ჩვენს საყვარელ პირთვნელმელს
მანანა და დაზმერ ქარდაველმს
ვულოცავთ დაქორწინელმიდან 35 წლის იუმილეს,
ვუსურველთ ჯანმრთელობას, მედნიერელას
შვილესა და შვილიშვილელთან ერთად.
ირა და რაჟდენ ქარდაველი ოჯახელით

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.
შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.



სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ასტროპროგნოზი
12 ნოემბრისათვის

ვერძი – დღის დევიზია დათმობა, პატიება და სიყვარული. გარშემომყოფებს გაგებითა და მოთმინებით მოეპყარით. ** კურო** – მშვენიერი დღეა მნიშვნელოვანი მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად. განსაკუთრებით გაუმართლებთ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს. **ტყუპები** – ყველა პრობლემას გონივრულად მიუდექით. ნურავის მიენდობით, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. **კირჩხიბი** – შრომისუნარიანობა გემატებათ. ბევრ საქმეს ასწრებთ, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვს. მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. **ლომი** – კარიერაში სასიამოვნო ცვლილებებია. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისათვის მშვენიერი პერიოდია. **ქალწული** – ამბიციურობა და სიჯიუტე არასასურველი შედეგით დამთავრდება. საქმიანი შეხვედრა დღის მეორე ნახევარშია რეკომენდებული. **სასწორი** – დღეს უკეთესია დაისვენოთ. გარშემომყოფებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაიხმარეთ. **ღრიანკალი** – ახლობლებთან დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. ეცადეთ, განიტვირთოთ მშვიდ და მყუდრო გარემოში. ერიდეთ ალკოჰოლიან სასმელებს. **მშვილდოსანი** – საქმიანი და ინტიმური შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. ერიდეთ საქმის გარჩევებს, კონფლიქტურ სიტუაციებს. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ნებისმიერი ახალი საქმის დასაწყებად. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. საქმისადმი არასტანდარტული მიდგომა წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სერიოზული პრობლემები გელით. ეს დღე სულიერ განწმენდას დაუთმეთ. ახალი ნაცნობობა სასიამოვნო იქნება. **თევზები** – იყავით მომთმენი და თავშეკავებული. ნუ იკამათებთ. თუ ვინმე თქვენს დახმარებას საჭიროებს, უარს ნუ ეტყვით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. „კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. უმცროსი მატროსი გემზე; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. უბანი თბილისში; 7. ტბა შუა აზიაში; 9. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 12. ნიშანთვისებების ერთობლიობა რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 15. უძველესი ქართული დამწერლობა; 17. საზეიმო ხასიათის დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკალური ნაწარმოები; 18. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში.

თარაზულად: 5. ტემპერატურის შკალის გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი; 6. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ კომპოზიტორი; 10. უბანი სოხუმში; 11. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 13. უმოტორო საფრენი აპარატი; 16. ბატონის მიერ ეკლესიისთვის გადაცემული ყმა ფეოდალურ საქართველოში; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტებიანი თლილი ქვა; 19. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 21. უზადო, უბიწო, უმწიკვლო; 22. თბილისთან დამეგობრებული ინგლისის ქალაქი; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბასტურმა; 2. ჯაყვა; 3. ბრიუსელი; 4. თოხანი; 7. ციცკა; 9. კრიკი; 12. ულტიმატუმი; 14. ხარება; 15. ჰიპნოსი; 17. კუმურდო; 20. ჯეზვე.

თარაზულად: 5. კაშაგანი; 6. ვეროკიო; 8. ნოვაცია; 10. პეკინესი; 11. ამქარი; 13. ქიაჩელი; 16. მისტრალი; 18. დუომო; 19. ოპელი; 21. უემბლი; 22. ასკურავა; 23. ტანდემი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მუმბაი; 2. ბეკინა; 3. მაშარაბი; 4. არმაზი; 6. ტოპონიმი; 8. დროება; 11. ხამანწკა; 12. ვოლიერი; 16. ფრაზა; 17. ხომლი; 18. იპონი.

თარაზულად: 1. მაკბეტი; 5. სკოტი; 7. ლახვარი; 9. ბაზიერი; 10. ბაჯაღლო; 13. ბამბუკი; 14. ხანუმა; 15. ჟოქო; 16. ქირურგი; 20. ხოზაფინი; 21. წალენჯიხა; 22. ნაგაზი.

სოკოვან დაავადებას ქიშმიში შველის



კანის სოკოვან დაავადებას იწვევს მიკროსკოპიული სოკო, რომელიც პარაზიტობს კანსა და ადამიანის ორგანიზმის ლორწოვან გარსზე. პათოგენური სოკოებით გამოწვეულ დაავადებათა შორის ყველაზე გავრცელებულია სხვადასხვა ფერის პიტრიაზი, ერითრაზმა, მიკროსპორია, ტრიქოფიტია და სხვა ეპიდერმოფიტია. ხალხური მედიცინა გთავაზობთ კანის სოკოვან დაავადებასთან საბრძოლველად შემდეგ მეთოდებს:

– როდესაც სოკოვანი დაავადება ახალი დაწყებულია, ადვილად განიკურნება, თუ ადამიანი დაზიანებულ ადგილებს დაიბანს შვიტას ნაყენით დღეში 3-4 ჯერ.

* * *

– ქიშმიშის მარცვლებს ჭრიან შუაზე და იზელენ დაზიანებულ ადგილებს. დაავადება მალე ქრება.

* * *

– ქაღალდის ზეთის მისაღებად იღებენ ჩვეულებრივი რვეულის ფურცელს, ახვევენ ძაბრივით და დგამენ თეფშზე მახვილი წვერით ზემოთ, რომელსაც უკიდებენ ცეცხლს. ქაღალდი დაიფერფლება, თეფშზე კი დარჩება ყვითელი სითხე, იღებენ ამ ყვითელ სითხეს და ისვამენ დაზიანებულ ადგილებში. პროცედურებს ატარებენ დაავადების სრულ განკურნებამდე.

– იღებენ 10 გრამ იასამნის ყვავილს და 100 მლ სპირტს. აჩერებენ 10-15 დღე. მიღებული ნაყენით იწმენდენ დაზიანებულ ადგილებს. ერთ კვირაში დაავადება ქრება. სასურველია, ეს საშუალება მუდმივად იყოს საოჯახო აფთიაქში.

* * *

– ძმარს იყენებენ ფეხის თითების სოკოვანი დაავადების დროს. იბანენ ფეხებს, ტერფებს ათავსებენ ძმარში. იცვამენ სუფთა წინდებს და ისე იძინებენ. სოკო კვდება რამდენიმე პროცედურის შემდეგ.

* * *

– ფეხებს ათავსებენ გრილ წყალში, რომელშიც გახსნილია თითო სუფრის კოვზი მარილი და სოდა, შემდეგ იბანენ სუფთა წყლით.

* * *

– ფქვავენ პიტნას, ურევენ მარილში და იდებენ თითებს შორის 1 საათით. მკურნალობა გრძელდება სრულ განკურნებამდე.

* * *

– ადუღებენ ყავას, ყოფენ ხელის თითებს ნაყენში ისე, რომ ნალექი არ შეინჯღრეს. გაუხეშებული ფრჩხილები თანდათან თხელდება და ჯანმრთელდება.

* * *

– დაზიანებული ადგილები იწმინდეთ ნივრის წვენით. იგი სოკოს ზრდას აფერხებს.

* * *

– ხმელი პიტნა დანაყეთ, მარილში შეურიეთ და შეიფრქვიეთ. თუ სოკოსგან წყლულები გაქვთ, გაიკეთეთ ფურაცილინის საფენები.

* * *

– თუ სოკო ფრჩხილს აზიანებს, გაიკეთეთ მაგარი ყავის თბილი საფენები (ნალექის გარეშე) 10 წუთის განმავლობაში.

* * *

– 10 დღის განმავლობაში გაიკეთეთ კაკლის ფოთლების ნახარშის თბილი აბაზანები.

* * *

– 1 ლიტრ თბილ წყალში გახსენით 1 სუფრის კოვზი მარილი და ამდენივე სოდა. გაიკეთეთ აბაზანა 10 წუთის განმავლობაში 2 კვირის მანძილზე. აბაზანის შემდეგ კანის დაზიანებული უბანი გაიწმინდეთ ღვინის ძმრით.

* * *

– 100 გრამი კაკლის ფოთლები ჩაყარეთ 3 ლიტრ ადუღებულ წყალში. როცა შეგრილდება, გაიკეთეთ აბაზანები. ასე გაიმეორეთ რამდენიმეჯერ. ეს პროცედურა უნდა მოხდეს დღეში ერთხელ, საღამოს. ფეხი არ შეიმშრალოთ.

* * *

სოკოვანი დაავადება ფეხის ტერფებზე ეფექტურად იკურნება ნივრის კომპრესებით. შეურიეთ თანაბარი რაოდენობით ნივრის წვენი და 90% იანი სპირტი და თქვენ მიიღებთ ძლიერ ანტისეპტიკს. იგი გამოიყენება როგორც გარეგანი საშუალება მყარი ინფექციური და სოკოვანი დაავადებით დაზიანებული კანისთვის.

საღამოს დაასველეთ ხელსაწმენდი ნივრიან სპირტში, დაიდეთ დაზიანებულ ადგილზე, დააფიქსირეთ ნახვევით და გააჩერეთ დილამდე. მას შემდეგ, რაც ნახვევს მოიხსნით, ფეხებზე გადაივლეთ ღვინის ძმრიანი წყალი. გარდა ნივრის გარეგანი მკურნალობისა, სასარგებლოა 1 2 ნივრის კბილის ჭამა ყოველდღიურად.

* * *

– 15 გრამი კაკლის ფოთოლი, 15 გრამი ორკბილა, 20 გრამი სამფერი იის ფოთოლი, 10 გრამი ოროვანდის ძირები, 10 გრამი ჭინჭრის ყვავილი, 10 გრამი ფარსმანდუკი, 10 გრამი შავი მოცხარის ფოთოლი, 15 გრამი მარწყვის ფოთოლი. ამ ნაკრებს (20 გრამი) დაასხით 1 ლიტრი წყალი და ადუღეთ 10 წუთი ნელ ცეცხლზე. ერთი ღვინის ჭიქა ნახარში მიირთვით საათში ერთხელ (დაახლოებით 30 გრამი).

* * *

– კანის სოკოვანი დაავადება ყველაზე ხშირად ჩნდება ხელის მტევნებსა და ფეხის ტერფებზე. მოადუღეთ მაგარი ყავა, ოდნავ შეაგრილეთ და ყოველდღიურად ჩაყავით მასში ხელის მტევნები და ფეხის ტერფები.

* * *

– ერთი მუჭა, დაახლოებით 100 გრამი კაკლის ფოთოლი ჩავყაროთ 3 ლიტრ ადუღებულ წყალში, როდესაც გაცივდება, გაიკეთეთ აბაზანები. ასე გაიმეორეთ რამდენიმეჯერ. პროცედურა ჩაიტარეთ დღეში ერთხელ, საღამოს. ფეხი არ უნდა შეიმშრალოთ.

* * *

– სოკოვანი დაავადებით დაზიანებულ კანში უნდა შევიზილოთ მანდარინის წვენი. შესანიშნავ შედეგს იძლევა ლიმნის წვენის კომპრესი ან შეზელვა.

* * *

– 15 გრამ მშრალ, დაქუცმაცებულ კაკლის ფოთოლს დაუმატეთ მზესუმზირას ზეთი. გააჩერეთ 7 დღე ღამე. შემდეგ ჩადგით მდუღარე წყლის აბაზანაში 3 საათი. გაწურეთ დოლბანდში და კვლავ ჩადგით 30 წუთი. დაუმატეთ 15 გრამი თაფლის სანთელი და ურიეთ გაციებამდე. ამ მალამოთი იზილეთ დილა საღამოს დაზიანებული ადგილი. პარალელურად მიიღეთ კაკლის ფოთლების ნახარში.

ნახარში შემდეგნაირად მზადდება: 1 სუფრის კოვზ კაკლის ფოთოლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და 15 წუთი ადუღეთ. მიიღეთ 3 ჯერ თითო ჩაის ჭიქა. ასეთი მკურნალობა შველის ლიქენსაც.

სოკოვანი დაავადების მკურნალობა ბოსტნეულის წვენებით:

1. სტაფილოს წვენი მიიღეთ თითო ჩაის ჭიქა დღეში 3 ჯერ ჭამის წინ 1 საათით ადრე;

2. სტაფილო (7 ნაწილი), პლუს ნიახური (4 ნაწილი), პლუს ოხრახუში (2 ნაწილი), პლუს ისპანახი (3 ნაწილი);

3. სტაფილო (9 ნაწილი), პლუს ჭარხალი (3 ნაწილი), პლუს სალათა (4 ნაწილი).

სამგლოვიარო განცხადებები



საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო განათლების უმწიკვლო, ნაღები საზოგადოება, ნათესავთა და მეგობართა უახლოესი წრე დიდი გულისტკივილით იუწყება უნიჭიერესი, უსათნოესი, უგულითადესი ამაგდარი კოლორიტული პიროვნების, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის

ლამარა შალვას ასული ჩხეიძე-ნაჭყებიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის შვილებსა და შვილიშვილებს.

ის იმერეთის კეთილშობილი გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო და უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალი პედაგოგისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებებით აფხაზეთში ქართული სულის აყვავებისა და დამკვიდრებისათვის იღვწოდა, რამაც უდიდესი აღიარება მოუპოვა მას და ამით ზეციურ საუფლოში მარადისობის ბინადარი გახდა.

ძირძველ სამურზაყანოში მისი უძვირფასესი ადამიანები – ქმარი და შვილი განისვენებდნენ, ამაზე ხშირად აღმოხდებოდა ხოლმე: „მე მიყვარს გალის წმინდა ნაკრძალი, მე იქ ძვირფასი ძვლები დავკრძალეო“. მისი ანდერძისამებრ, თვითონაც იქ დაიდო ბინა.

ნათელში იყოს მისი ბობოქარი, ნათელი სული, ამინ!

ლილი ვეკუა, ნელი ყოლბაია, რაჟლენ ქარდავა

სს თბილაბრეშუმი „ცისარტყელას“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საზოგადოების თანამშრომლის ამირან ბექაურის შვილის

ბესიკ ბექაურის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ და სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს მეგობარს გიორგი (ჟორა) მოსიძეს ძმის, საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, მაღალი ზნეობისა და ვაჟკაცური თვისებებით შემკობილი, ქართული სტუმართმოყვარეობის, მეგობრობისა და ურთიერთგამტანობის ტრადიციების მიმდევრის

გურამ მოსიძის

გარდაცვალების გამო.

მეგობართა ჯგუფი

კლუბი „მერწყული“ თანადგომას უცხადებს კლუბის დამფუძნებელსა და პრეზიდენტს, დოქტორ გიორგი ნატრიაშვილს ქვისლის

გოგი (გოჩა) აბულაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ხუთშაბათი 12 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **09.20** ან/ფ. "მადაგასკარის პინგვინები" **15** ს I ნაწ. **10.10** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **11.00** ტ/სერ. "**ჩინგო ვებრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" I **13.50 ფეხბურთი. 19** წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის მატჩი: **საქართველო – უელსი** (მ.მესხის სტადიონიდან) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. ტ/სერ. "**დომგე და ვაჟი**" **2** სერ. **18.05** "სიტყვების თამაში" **9** გად. **18.30, 19.01** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" – "გაუმარჯოს ფანტასტიკას" (ნინო დადვანი) **20.30** "ინტერ ვიუ სალომე ასათიანან"I გად. **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **9** სერ. **22.00** მხ/ფ "**გულები**" (მელოდრამა. რეჟ: ა. რენე) **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ბინელეთის ადამიანები**" (ლ.ნისონი)

08.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ლანსის ლუვრი-დროის გალერეა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ვინჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" **11.00** დ/ფ "კოფი ანანი" **12.00** მხ/ფ "**ოპერაცია მფრინავი**" **3-4** სერ. **14.00** დ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში" **16.00** დ/ფ "ევროპის შუაგულში" **18.00** დ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**თაფლაკვერის კაცუნა**"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დისასხლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **10** სერ. **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** ერთხელ საქართველოში **00.30** მხ/ფ "**სისხლიანი სპორტი**" (ჟ.კ. ვან დამი) **02.20** მხ/ფ "**რევოლვერი**"

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

06.15 ჩვენი ფონდი **06.40** პატრიკი **06.50** დეკორატიული ფლორა **07.05** ქართული ალბომი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბალებს**" II სერ. **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" **15.05** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საყმაწვილო ენციკლობედია **16.10** დ/ფ **16.55** დიდ ხარ შენ უფალო-მოციქულები **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** ქართული ხმები-ქირიები **20.40** ძილი ნებისა "წმინდა გიორგი მთაწმინდელი " **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.25** სალბუნი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟუსტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ჟუზეი და გუნეი" 12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05 სერიალი "ტატიანა" 17.05 სერიალი "სიყვარულის იმპერია" 18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა" 20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით" 21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ეანგელია" 1.30 სერიალი "ტატიანა" 2.15 სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

კულტურა

ქართულმა ფილმმა ამერიკულ კინოფესტივალზე გაიმარჯვა

ქართულმა ფილმმა ამერიკულ საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმარჯვა. მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების კატეგორიაში წელს 80 ფილმი მონაწილეობდა, საკონკურსოდ ორგანიზატორებმა 13 ფილმი შეირჩიეს, ფინალისთვის კი 6 ფილმი და მათგან ორი ქართველი რეჟისორის, გიორგი ჯანელიძის ნამუშევრები აღმოჩნდა.

დიდი ტბების საერთაშორისო კინოფესტივალი უკვე 14 წელია პენსილვანიაში იმართება. ეს ფესტივალი ამერიკის კინოფესტივალების ასეულში შედის. გიორგი ჯანელიძემ წლევანდელ კინოფესტივალზე წარადგინა ორი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „როდი, ლენონი და მე/ძველი ფოტოს ისტორია“ და „ეს გოგონა ჩემია“.

ფესტივალში მონაწილე ყველა ფილმის ნახვა ნებისმიერ დაინტერესებულ მაყურებელს ონლაინ რეჟიმში შეეძლო, ამისთვის კი მხოლოდ ფესტივალის ვებგვერდზე ბილეთის შეძენა იყო საჭირო.

ფესტივალის გამარჯვებული გიორგი ჯანელიძის „როდი, ლენონი და მე/ძველი ფოტოს ისტორია“ გახდა.

ქართველი ტენორი საუკეთესოდ დაასახელეს

ახალგაზრდა საოპერო მომღერლებს შორის საუკეთესოები სარაევოში შეიკრიბებიან. ჩამოთვლილთა შორის ერთ-ერთი ქართველი ტენორი მიშა შეშაბერიძეა.

13 ნოემბერს სარაევოს ნაციონალურ თეატრში მუსიკალური სახელოვნებო ფონდის ორგანიზებით საგანგებო კონცერტი ჩატარდება. ღონისძიებაზე სარაევოს ფილარმონიის ორკესტრი დაუკრავს და მას მაესტრო ივო ლიპანოვიჩი უხელმძღვანელებს.

კონცერტში მსოფლიოს საუკეთესო საოპერო მომღერლებთან ერთად ქართველი ტენორიც იმღერებს. ის არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებულია და ამჟამად წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთ. მის რეპერტუარშია ცნობილი საოპერო სპექტაკლები „მადამ ბატერფლაი“, „აიდა“, „კარმენი“.

სარაევოს ფილარმონიის ორკესტრთან ერთად საოპერო მომღერლები მსმენელისთვის პუჩინის, ლეონკავალოს საოპერო არიებს და ნეაპოლიტანურ სიმღერებს შეასრულებენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ჯოკოვიჩმა სეზონის მეექვსე მასტერსი მოიგო

შიც ნოვაკ ჯოკოვიჩი ყველა კონკურენტს გაუმკლავდა, მათ შორის, ფინალში ენდი მიურეის.

2015 წლის სეზონი ნამდვილ ბენეფისად იქცა ჯოკოვიჩისთვის. თითქოს, 2011 წლის წარმატების გამეორება შეუძლებელი იყო, მაგრამ 28 წლის სერბმა გააუმჯობესა ოთხი წლის წინანდელი შედეგი.

ნოლემ ფინალში ბრიტანელი ენდი მიურეი მარტივად დაამარცხა და კარიერაში პარიზის მასტერსის ტიტული მეოთხედ მოიპოვა, რაც აქამდე არც ერთ სხვა ჩოგბურთელს არ გაუკეთებია. ნოვაკი ჩოგბურთის ისტორიაში გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც ერთ სეზონში 6 მასტერსის ტურნირის მოგება მოახერხა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, სტარტზევე იგრძნობოდა, რომ მიურეის შეხვედრაში შანსი არ ექნებოდა. პირველ სეტში ნოვაკმა თავის ჩაწოდებები მოიგო, ორჯერ ბრეიკი შეასრულა და სეტებში დაწინაურდა. მეორე პარტიაში 3:3-ზე სერბმა ბრეიკი გააკეთა, რაც შეხვედრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. ნოლემ 2 ეისი ჩააწოდა და არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვა. შეხვედრაში 115 გათამაშებიდან ნოვაკმა 66 მოიგო, მიურეიმ – 49. ურთიერთშეხვედრებში ჯოკოვიჩი მარეის 30:9 ამარცხებს.

ფინალში ენდიმ ვერაფერი მოუხერხა სერბის ფენომენალურად საიმედო თამაშს. მიურეიმ მხოლოდ ერთი ბრეიკი აიღო, იმ დროს, როცა ჯოკოვიჩმა ოთხჯერ მოახერხა მეტოქის მოწოდება მოგება – 6:2, 6:4 სერბის სასარგებლოდ.

ბრიტანელი ამ წაგებისგან ტრაგედიას არ შექმნის, რადგან მთავარი გამოწვევა წინ აქვს – დევისის თასის ფინალი, რომელიც 27-29 ნოემბერს, ბელგიის ქალაქ გენტში გაიმართება.

მიურეისთვის პარიზის მასტერსი და წლის შემაჯამებელი ტურნირი მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპებია დევისის თასის ფინალისთვის, რათა ახალი ისტორია შექმნას. ბრიტანეთს დევისის თასზე 1936 წლის შემდეგ არ მოუგია. თუ ენდი მოიგებს ერთეულთა ორ თამაშს და წყვილების შეხვედრას – ბრიტანეთის იმპერიის ორდენი და სერიის ტიტული გარანტირებული ექნება.

ჰო, გეტყვით იმასაც, რომ პარიზის მასტერსის შემდეგ, მაკაცთა რეიტინგის ტოპ-ათეულში ორი ცვლილება მოხდა – მიურეიმ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ნადალი კი ხუთეულში შევიდა.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3971	ევრო — 2.5745
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6206	100 რუსული რუბლი — 3.7196

ამინდის პროგნოზი 12 ნოემბრისთვის

ფაჩულიას 12 ქულა დალასს მოსაგებად არ ეყო

ზაზა ფაჩულიას დალასი ნიუ ორლეან პელიკანსთან დამარცხდა. მიუხედავად იმისა, რომ ნიუორლეანელებს თამაშის მსვლელობისას ტრავმის გამო სუპერვარსკვლავი ენტონი დევისი გამოაკლდათ, მაინც იოლად იმარჯვეს – 120:105. თანაც, სეზონის 6 წაგებით დაწყების შემდეგ ეს პირველი გამარჯვება იყო პელიკანებისთვის.

ქართველი ცენტრი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 21 წუთი გაატარა. ზაზამ 6-დან 3 ორქულიანი და 6-დან ექვსივე საჯარიმო ჩააგდო და მოგროვებულ 12 ქულას 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მოაყოლა, ბურთი კი არ დაუკარგავს.

დალასელთაგან 15 ქულით და 9 მოხსნით საუკეთესო შედეგი ჩარლი ვილანუევამ დააფიქსირა, დირკ ნოვიცკის ანგარიშზე კი 18 ქულა და 4 მოხსნა დაგროვდა.

3 მოგებითა და 4 წაგებით დალასი დასავლეთ კონფერენციაში მე-9-11 ადგილებს იყოფს. ფაჩულიას გუნდის მორიგი მეტოქე მრისხანე ლოს ანჯელეს კლიპერსი იქნება.

მატჩი დალასში 12 ნოემბერს გამთენიისას გაიმართება.

მოამზადა მანუელ ყორეოლიანმა

იუმორი

კაცი სტუმარს ეკითხება:

– უკვე მიდიხარ?

– დიახ.

– და ასე ნელა, რატო?!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შეთანხმდით შენ და შენი ქმარი, სად გაატარებთ შვებულებას?

– კომპრომისულ შეთანხმებას მივაღწიეთ.

– როგორს?

– იმას მთებში უნდოდა თხილამურებით სრიალი, მე კი ზღვაზე.

– მერე?

– მერე, ზღვაზე მივდივართ, მხოლოდ მეუღლეს შეუძლია თხილამურები წამოიღოს.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– ხანდახან ისე მაგრად მომინდება, რომ დაგირეკო და გითხრა, თუ როგორ მენატრები...

– მერე, დამირეკე...

– ჰო, მაგრამ ხმა მიშლის ხოლმე ხელს.

– რა ხმა?

– თქვენი ნომრის ანგარიშზე თანხა ამოიწურაო.

●●●

მსოფლიოს შვიდ საოცრებათა სიაში ცვლილებაა...

სემირამიდას დაკიდებულ ბაღებს საქართველოს მთავრობისგან დაკიდებული მოსახლეობა ჩაანაცვლებს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, რა დაცხა.

– აბა, შენ ეგა თქვი, ისე ცხელა, ისე, რომ რუკაზე იტალიამ „ბასანოჩკის“ ფორმა მიიღო...

●●●

განცხადება:

„გარდაიცვალა ცნობილი ჟოკეი აჩუკა.

გამოჭენება ხუთშაბათს 3 საათზე“.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, საკუთარ თავს დავენიძლავე, სიგარეტს თავს დავანებებო და...

– მერე?

– სახინკლე წავაგე...

●●●

დაქალები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– გოგო, ბებიაჩემისთვის წნევას დაურტყია.

– ქალზე ხელი როგორ აწია მაგ არაკაცმა?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეკა ჩხეიძე ახალ ფილმში გადაიღეს

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ეკა ჩხეიძე ახალ ფილმში გადაიღეს. მისი მეწყვილე თავისუფალი თეატრის მსახიობი აპოლონ კუბლაშვილია. თეატრალურ ჟანრში გადაღებული ფილმის რეჟისორი ფინეთში მოღვაწე აზერბაიჯანელი რეჟისორი კამრან შაჰმარდანი.

„მკვლელი“ – ასეთია ახალი ფილმის სახელწოდება, რომლის პრემიერაც ბაქოში უკვე გაიმართა და დიდი წარმატებითაც. კამრან შაჰმარდანის ფილმმა უკვე მოასწრო მონაწილეობის მიღება ევროპული ფილმების საერთაშორისო ფესტივალში. მომავალში კი სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზეა მიწვეული.

ეკა ჩხეიძე:

– ფილმში მარტო მე და აპოლონ კუბლაშვილი ვართ... მეტი არავინ. მისი რეჟისორია კამრან შაჰმარდანი, ფინეთში მოღვაწე აზერი თეატრის რეჟისორი. ფილმიც თეატრალურ მანერაშია გადაღებული, ელჩინი არის აზერი ცნობილი დრამატურგი და მისი პიესის მიხედვით. რეჟისორი თბილისში იყო ჩამოსული, კასტინგი ჰქონდა და ჩვენ აგვირჩია.

როლმა ძალიან დამაინტერესა. ეს არის ფილმი ქალის ისტორიაზე და ამ ქალს მე ვთამაშობ. ფილმი ჯერ ფესტივალებზე იმოგზაურებს და მერე ალბათ საქართველოშიც აჩვენებენ.

ნოდიკო ტატიშვილმა უსინათლო მომღერალს ოცნება აუსრულა

მომღერალმა ნოდიკო ტატიშვილმა, რომელიც „ახალი ქართული ხმის“ მწვრთნელია, უსინათლო მომღერალს ოცნება აუსრულა. ის სპეციალურად მივიდა სტუმრად „დღის შოუში“, რომ ანანო დანელიასთან ერთად ემღერა.

როგორც ნანიკო ხაზარაძემ გაცხადა, ანანოს ოცნება ნოდიკოსთან ერთად სიმღერა იყო და მან ოცნება აისრულა.

„დღის შოუში“ სტუმრობისას გოგონა ინოლა გურგულიას ცნობილ სიმღერას „საქანელა“ ასრულებდა, როდესაც მასთან მოულოდნელად ნოდიკო მივიდა და პატარა მომღერალთან ერთად დუეტში იმღერა.

ანანო ნოდიკოს არ ელოდა და მოულოდნელობისგან შეკრთა, თუმცა სიმღერა მაინც ბოლომდე იმღერა და საოცნებო მომღერალსაც საკადრისი პარტნიორობა გაუწია.

ქართველმა ბავშვებმა ესპანეთში პირველი პრემია მოიპოვეს

მეექვსე საავტორო სკოლასთან არსებულმა ბავშვთა შერეულმა გუნდმა „პატარა გეორგიკა“ ესპანეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე პირველი პრემია მოიპოვა.

ხელოვნებისა და მუსიკის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი ნოემბერში გაიმართა. მეექვსე საავტორო სკოლასთან არსებული ბავშვთა შერეული გუნდი ქალაქ ლორეტ დე მარში საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი გახდა.

„პატარა გეორგიკა“ არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებულია. გუნდმა ბულგარეთში, ხელოვნების ახალგაზრდული კონკურსზე მეორე ადგილი მოიპოვა, შარშან კი საგუნდო სიმღერის ეროვნულ კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა. ამავე წელს „პატარა გეორგიკამ“ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო საგუნდო ფესტივალში.

მეექვსე საავტორო სკოლასთან არსებული ბავშვთა შერეული გუნდი „პატარა გეორგიკა“ 5 წლის წინ დაარსდა და 6-დან 15 წლამდე ასაკის ნიჭიერ მოზარდებს აერთიანებს.

თბილისში ბაროკოს ფესტივალი გაიმართება

თბილისში ბაროკოს ფესტივალი გაიმართება. თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის „საქართველოს სინფონიეტას“ ხელმძღვანელის კონსტანტინე კასრაძის ინფორმაციით, ფესტივალი 13 ნოემბრიდან 6 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება.

– ამიერკავკასიაში პირველად, „თბილისის ბაროკო ფესტივალი“ ჩატარდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო აკადემიური სცენის ვარსკვლავები და ძველი მუსიკის სპეციალისტები ესპანეთიდან, იტალიიდან, რუმინეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ყველა კონცერტზე ნაწარმოებები ძველებური ინსტრუმენტებით შესრულდება.

ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართება „ბაროკოს მუსიკის საერთაშორისო სიმპოზიუმი“, რომელიც ბახის, სკარლატისა და ჰენდელის საიუბილეო წელს მიეძღვნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვროსვოხდი ↓



შვეულად: 1. რუსეთში მოღვაწე ქართველი საესტრადო მომღერალი მამაკაცი; 2. ძველი ქართული დამწერლობა; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 8. მეფეთა და მღვდელმთავართა ძვირფასი სამოსი; 11. უბანი სოხუმში; 12. ქართული მინერალური წყალი; 16. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 17. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. ხილი, ქალაქ ნიუ იორკის სიმბოლო.

თარაზულად: 1. კუთხე საქართველოში; 5. ძველებური კაჟიანი თოფი; 7. მოხალისეთა ჯარი; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთის ჩრდილოეთში; 10. გემის სამზარეულო; 13. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 14. ბრმად თაყვანისცემის უსულო საგანი; 15. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 20. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. მთიანეთი აზიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა